# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | ხუთშაბათი, 7 მარიამობისთვე 1919 წ. № 167 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.



ყურადღება!... მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!...

დაწმენდილი **არაყი, კონიაკი და კახური ღვინო**

**ძმ. სესიაშვილებისა**

(ღვინო იყიდება „ვედრობით“ და „ბოჭკობით“ ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., 6. ტელეფ. 25—86

25—86—12

გულდამწვარნი შვილები ირაკლი, სოფიო, ნატალია, მარიამი, შვილი ევდოქსია თაქთაქიშვილისა და რძალი ნატალია შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 8 მარიამობისთვეს, დილის 10 საათზედ გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულებისას კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

**ნინო ირაკლის ასულის თაქთაქიშვილის**

სულის მოსახსენებლად.

გაიანე იოსების ასული ეპიტაშვილისა შვილები: ვანო, ნინა და კატო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ—მეგობრებს, რომ შაბათს, 9 მარიამობისთვეს, სოფელ მარტყოფის წმიდა სამების ეკლესიაში გადახდილ იქმნება ნახევარ-წლის წირვა და პანაშვიდი პირველისთვის ძვირფას და დაუვიწყარ ქმრის, ხოლო უკანასკნელთათვის მამის მღვდლის

**ალექსი ეპიტაშვილის**

სულის მოსახსენებლად. 1—2570—1

ღრმად მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ეკატერინე და ნიკოლოზ, და ნინა, ძმები: ვლადიმერ და ერეკლე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი შვილის და ძმის მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის, არმავირის ასპარეზზე გმირულად დაღუპულის

**გაბრიელ (გაგო) ოთხმეზურის**

სულის მოსახსენებლად ქ. ჭიათურაში გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი 9 მარიამობისთვეს დილით შაბათს ახალი სტილით. 2—153—2

ღრმად დამწუხრებულნი ლიდა გაბრიელის ასული, შვილი ნინო, დედა ელისაბედი, ძმები: გრიშა, ვლადიმერი (ვალოდია), ალიოშა და შალვა, დები: ნადია ეგნატეს ასული ნიჟარაძისა შვილი სოსოთი, ოლღა ეგნატეს ასული ხეჩანოვისა მეუღლით ნიკოლოზ სიმონის ძე, თამარა და ელენე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ბათომში ტრაგიკულად გარდაიცვალა

**კონსტანტინე ეგნატეს ძე ნარსია,**

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 4 ნახ. საათზე საფიჩხიის ეკლესიაში, ქ. ქუთაისი, „პოდგორნი“ ქუჩა, საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველ დღე. 2—2567—2

**წისქვილი**

**ძმ. ბაბაჯანოვებისა**

ღებულობს ყოველნაირ საფქვავს

ავლაბარში, ნუხის ქუჩა № 13. 10—2521—4

მოუწოდებ **საბავშვო ბაღში**

ჩემთან ერთად სამუშაოდ

**ფრებელის კურს დამთავრებულ ქართველ ქალს**

ან და პირველ დაწყებით სკოლის გამოცდილ მასწავლებელს. სადგომი და სკოლის მოწყობილობა ახალ სისტემით—უკვე არსებობს.

პირობების შეტყობა შეიძლება მისამართით: მამადავითის ქუჩა № 15, ტელეფონით: № 14—04. 8—152—2

**სახელოსნო კლუბი.**

გამგეობის მიერ მარიამობისთვის 7-ს, ხუთშაბათს საღამოს 8 საათზე დანიშნულია წევრთა

**საერთო კრება**

(მკათათვის 17-ის კრების გაგრძელება).

მუშაობის წესრიგი: 1) ამამოწმებელ კომისიის მოხსენება გამგეობის ზოგიერთ წევრთა მოქმედების შესახებ. 2) წევრთა კანდიდატების არჩევნები. 3) მიმდინარე საკითხები. საერთო კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. 1—2568—1

გამოვიდა და იყიდება

**ალ. ასათიანის წიგნი**

**მიწის საკითხი საქართველოში.**

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადოდ და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მფლ. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა. 10—6—7

**სამხედრო სამინისტროს სტამბა**

**იწვევს**

**სამსახურში ფაქტორის თანამდებობაზე**

სტამბის ხელობის კარგად მცოდნე პირს. ასოთამწყობის ცოდნა სავალდებულოა; სამსახური სახელმწიფოა; თვიური ჯამაგირი 1800 მან. ჯარის-კაცის ულუფა და უფასო ორი ოთახის ბინით.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3. 7—13—3


## ინგლისის წასვლისათვის

ამიერ კავკასიის საქმეები დღესაც ისე გამოურკვეველია საერთაშორისო მდგომარეობის მხრივ, როგორც ეს იყო ამ რვა თვის წინად, როდესაც გამარჯვებული ანტანტი პირველად შემოვიდა ამიერ-კავკასიაში, ინგლისის სახით. ვიდრე პარიზის კონფერენცია ამიერ-კავკასიის ბედს არ გადასჭრიდა, ანტანტის შეიარაღებული ძალა წესიერების დარაჯად აქ უნდა მდგარიყო და ერთგვარი „მოდუს ვივენდი“ დაემყარებინა როგორც ადგილობრივ ხალხთა ურთიერთობაში, აგრეთვე ამიერ-კავკასიასა და მის საზღვარზე მომქმედ რუსის შეიარაღებულ ძალის შორის. პარიზის კონფერენციას ამიერ-კავკასიის შესახებ ჯერ თავისი სიტყვა არ უთქვამს, ხოლო ანტანტი კი სტოვებს ამიერ-კავკასიას. ინგლისის ჯარის წასვლა, ახალ წინაამდეგ განკარგულებამდე, საბოლოოდ გადაწყვეტილია; ესევე საბოლოოდ გამოირკვა, რომ იტალიას თავისი ჯარები აქ არ შემოყავს. არაფერი ისმის იმაზედ, თუ საფრანგეთი რას აპირებს. ამგვარად თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ეს ჯერ-ჯერობით მოსალოდნელია, ამიერ-კავკასიაში ახალი მდგომარეობა იქმნება; დაახლოვებით ისეთი, როგორიც იყო პირველად გერმანიის შემოსვლამდე. ჩრდილოეთით და სამხრეთით ორი მტერი: რუსეთი და ოსმალეთი. შუაში მარტო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები.

გაცილებით მეტი შესაძლოება რჩება შეიარაღებულ შეხლა-შემოხლისათვის ამ დაპირისპირებულ ძალთა შორის ანტანტის შეიარაღებული ძალის გასვლით. ინგლისის ჯარი, მიუხედავად მრავალი გაუგებრობისა, ბოლოსდა ბოლოს სიმშვიდის უცილობელი ფაქტორი იყო. დღეს სხვა საერთაშორისო ინსტანცია ან არბიტრი არ მოიპოვება, გარდა პარიზის კონფერენციისა, რომელიც ამა თუ იმ ერის საერთაშორისო მდგომარეობას ასანქციებდეს. ამ მხრივ საქართველო და საერთოდ ამიერ-კავკასია სავსებით დამოკიდებული ანტანტის ითხთა საბჭოზე, რომელმაც ეს უფლება მიითვისა კიდევაც ამგვარ უფლებრივ სანქციის შენარჩუნებასთან ერთად გაუგებარი რჩება ანტანტის მეორე, ჯერხნობით საბოლოო გარდაწყვეტილება: ამიერ-კავკასიიდან მისი წარმომადგენელი სამხედრო ხელმწიფების მოხსნა და გაყვანა. და უკანასკნელი გარემოება უფრო გაართულებდა ადგილობრივ ვითარებას, და მით თვით ანტანტს უფრო გაუძნელებდა პრინციპიულ გარდაწყვეტილების გამოტანას ამიერ-კავკასიის ქვეყნების ბედის შესახებ. არ შეიძლება ამ მოსაზრებამ ჯეროვანი ყურადღება არ მიიქციოს ანტანტისა და კერძოთ ინგლისის მხრივ თუ ჩვენ ანტანტისგან გამოველით ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის გამორკვევას, მისი სამხედრო ძალისა და წარმომადგენლობის აქ ყოფნა. ამ მდგომარეობის გამორკვევამდე, საჭირო ლოღიკური და სასარგებლოა. ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკა ამ მომენტით ერთნაირადაა დაინტერესებული,—ამიტომ ყველამ ერთად ერთი და იგივე ნაბიჯი უნდა გადადგას.

ანტანტის სამხედრო ძალის აქ ყოფნით შენახვა და გაგრძელება არსებული „status quo“-სი, ვიდრე პარიზი ჩვენს პოლიტიკურ ბედს საერთოდ გადასწყვეტს, უნდა იყოს სადღეისო მოქმედების პროგრამა ყველა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობებისა. ასეთი ჩვენი აწინდელი მდგომარეობა ზოგრეთაც რომ განსხვავდებოდეს და სჯობდეს იმ მდგომარეობას, რომელშიაც ვიმყოფებოდი ამ 14—15 თვის წინად, ანტანტის სამხედრო ძალის აქედან გაცლა მაინც ისეთ ახალ მომენტს ჰქმნის, რომელსაც უფრო საეჭვო შედეგები მოაქვს. ჩვენს პირობებში კი ასეთი ექსპერიმენტები სწორედ რომ სანუკვარი არ არის; იგი უფრო მავნებელია. აქედან ცხადად სჩანს ჩვენი პრაქტიკული დემარშების ხასიათი.

## კონტრიბუცია თბილისზე

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი სრულიად საქართველოში ხალხიდან სანიტარული გადასახადის შეკრების შესახებ. ალბად არავინ უწყოდა თუ ეს კანონი ასეთ მახინჯ სახეს მიიღებდა ჩვენი მუნიციპალურ მოღვაწეთა მეოხებით.

რასაკვირველია ვერავინ უარყოფს, რომ ქალაქი და სოფელი ამ ჟამად დიდ სანიტარულსა და საზოგადოდ ყოველგვარ გასაჭირს და უბედურებას განიცდის. ასეთი მდგომარეობის იდნავადაც გასაუმჯობესებლად ხარჯი არის საჭირო, აუარებელი ხარჯი. ცხადია, რომ ეს ხარჯები რესპუბლიკას მცხოვრებთ უნდა გადახდეთ, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მაგრამ ფულის გაფლანგვისა და დახარჯვაზე მეტი ჭკუა და გონება უნდა ხალხიდან ფულის აკრეფას. იმ წესით გადასახადების გაწერა და აკრეფა, როგორც ამას ჩვენი მუნიციპალური მოღვაწენი აპირებენ, არც ერთს კულტურულს ქვეყანაში არ მომხდარა და არ მოხდება.

თბილისზე 60 მილიონის გაწერა განუზრახავთ. სანამ ქალაქის ხმოსნები საკითხს განიხილავდნენ. ეს ფულები კიდეც გაუწერიათ და აკრეფასაც შესდგომიან. ფული გაუწერიათ ზეპირად, როგორც მოეხასიათებოდა ამა თუ იმ აგენტს. სულ მცირე სავაჭროებიც კი ათი ათასობით არიან დაბეგრილი. ღარიბ სახელოსნოებს, რომელნიც სულს ღაფავენ სოციალისტური ექსპერიმენტების გამო, როდესაც მათ მუშაობასაც არ ანებებენ თავის ნებაზე, ათასობით აქვთ შეწერილი. ჩვენი სოციალისტური ქალაქის მამები თბილისის მოქალაქეთ ისე უცქერიან, როგორც დაბალ ღობეს და აბა მას რისთვის მოერიდებიან, რომ გადასახადები გამოზომილად და აწონილად გააწერონ.

ვის დააწვება ასეთი საშინელი კონტრიბუციის სიმძიმე? ბევრი ჰფიქრობს—ეს ისეთ ხალხს დააწვება, რომელნიც დიდს ფულს იგებენო. ეს შემცდარი აზრია ასეთ ხალხს ერთი კაპეიკიც არ გადახდება. ასეთმა ხალხმა დიდი ხანია სავაჭროები მიკეტა, წეხი ერ, ლეგალურ ვაჭრობას თავი მიანება და ფეხზე ვაჭრობას მოჰკიდა ხელი. მათ ვერც ხაზინა მზვერავს და ვერც ქალაქი. ასეთი სპეკულიანტების რიცხვი გაამრავლა სოციალისტების წინანდელმა ექსპერიმენტებმა—წესიერი ვაჭრობისა და მრეწველობის შევიწროვებამ და მათ რიცხვს ეს ახალი გადასახადი ერთი სამად კიდევ გაამრავლებს. გადასახადის სიმძიმე დააწვება წესიერ ვაჭარ-მრეწველთ, სახლის მეპატრონეთ, მშრომელ ინტელიგენციას და ყველა მათ ვინც ლეგალურად ეწევა რაიმე საქმეს. მაგრამ ამათშიც იქნება გარჩევა და უფრო წესიერი ელემენტი უფრო დაისჯება. ვაჭრები სწრაფად აწევენ ფასებს ყველა საქონელზე, ხელოსნებიც მოუმატებენ ხელფასს, და ყოველივე ამის შედეგები მძიმე ტვირთად დააწვება მშრომელ კლასს და საზოგადოთ ყველა მხმარებელთ. გულუბრყვილო სოციალისტებს კი ჰგონიათ, რომ ეს გადასახადი მარტო ბურჟუაზიას აწვება მძიმე კონტრიბუციად და არა ხალხის ფართო მასსას. თვით წესი გადასახადის აკრეფისა ისეთია, რომ ის აქედანვე დიდს კრიზისს იწვევს და თბილისის მოქალაქენი მახლობელს დღეებშივე იგრძნობენ სოციალისტურ მამების მოღვაწეობის შედეგებს. ნუ თუ ესეც არ მოიყვანს გონზე რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით გარეტიანებულ ყოვლის ამტან მოქალაქეს.

## მთავრობის წრეებში

29 მკათათვის სხდომა.

**სასამართლოს გამომძიებელთა შტატები.**

იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი სასამართლოს გამომძიებელთა ინსტიტუტის ერთი წლით შესანახად ა. წ. 1 ივნისიდან 2.849.700 მანეთის გადადების შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას. ამ შტატებზე კიდევ უნდა გავრცელდეს ჩვეულებრივი მომატება.

**სამომრიგებლო ინსტიტუტის შტატები.**

იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილ დეკრეტი სამომრიგებლო ინსტიტუტის ერთი წლით შესანახად ა.-წ. 1 ივნისიდან 12.848.608 მანეთის გადადების შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას. ამ შტატებზე კიდევ უნდა გავრცელდეს ჩვეულებრივი მომატება.

**საფოსტო ამანათზე ნიხრის გადიდება.**

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება საფოსტო ამანათზე ნიხრის გადიდების შესახებ მოწონებულ იქმნას და სათანადო დეკრეტი გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**300,000 მან. კრედიტი ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად.**

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად 300,000 მან. გადიდების შესახებ მოწონებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

**მხატვარ შევარდნაძეხათვის ჯილდოს მიცემა.**

გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 5,000 მან. ათმილიონიანი ფონდიდან მხატვარ შევარდნაძისათვის ჯილდოს მისაცემად საფოსტო ნიშნების პროექტის შესრულებისათვის.

**10 მილიონიანი სესხი ერობებს.**

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება ერობებისათვის 10 მილიონი სესხის მიცემის შესახებ მოწონებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებასა აღნიშნული სესხი ერობებმა უნდა აუნაზღაურონ ხაზინას 1919 წ. განმავლობაში მიწაზე ერთდროულ გადასახადით და სანიტარულ გადასახადით.

**უსინათლოთა სასწავლებლის სახალხო განათლების სამინისტროსათვის გადაცემა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში არსებული უსინათლოთა სასწავლებელი თავის კრედიტებით გადაეცეს სახალხო განათლების სამინისტროს.

**ხოლერის საწინააღმდეგო აცრა**

ყველა ჯარის ნაწილებში, სატუსაღოებში და აგრეთვე ლტოლვილთათვის, რომელნიც ამ ჟამად საქართველოს ტერიტორიაზე არიან ან შემდეგში შემოვლენ, შემოღებულ იქნას სავალდებულო ხოლერის საწინააღმდეგო აცრა.

**ქართული სალერბო მარკები**

ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი ქართულ სალერბო მარკებისა მოწონებულ იქმნას. ქართული სალერბო მარკების ხმარებაში შემოდგომის დღიდან გაუქმდეს რუსული სალერბო მარკები.

# უკანასკნელი ცნობები

ჰუნგრეთის ახალი მთავრობა მზადაა ზავის შესაკვრელად.

ფიუმეს გადასცემენ იტალიას, რომელიც უარს იტყვის დალმაციაზე.

ბოლშევიკებმა ჩელიაბინსკი აიღეს და ერთი მილიარდი მანეთი დავლად დარჩა.

შორეულ აღმოსავლეთში დიდი ბოლშევიკური მოძრაობა დაიწყო.

ამსტერდამის პროფესიულ კავშირთა კონფერენციამ რუსეთისა და ჰუნგრეთის ბლოკადის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა.

გერმანიიდან გამსვლელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

**აბრეშუმის პარკის შესყიდვა**

1. წარსული წლების მოსავლის ხმელი პარკი უნდა ჩაბარდეს მათ მეპატრონეთაგან მთავრობას ცენტრალურ საწყობში, სამტრედიაში, ა/ წ. 15 აგვისტომდე მთავრობის მიერ განსაზღვრულ ფასებში.

2. დაარსდეს სამტრედიაში შემფასებელი კომისია, და ქალაქის გამგეობის, ერობის, კოოპერატივთა და პარკის პატრონთა თითო წარმომადგენელთაგან მთავრობის მთავარ რწმუნებულის თავმჯდომარეობით, პარკის ხარისხის გამოსარკვევად და შესაფასებლად მთავრობის მიერ დაწესებულ ფასების ფარგლებში.

3. კომისიის დადგენილება სისრულეში იქნას მოყვანილი დაუყონებლივ.

4. უფლება მიეცეს დაინტერესებულ მხარეს ერთი კვირის განმავლობაში გაასაჩივროს კომისიის დადგენილება მომარაგების საბჭოში.

**გენერალურ შტაბის წიგნთ-საცავის უნივერსიტეტისათვის გადაცემა.**

გენერალურ შტაბის წიგნთ საცავი გადაეცეს თბილისის სახალხო უნივერსიტეტს.

**სასჯელის პატიება.**

1. მე-4-ე პოლკის მე-9-ე გუნდის ჯარისკაცი ალექსი მირიანიშვილი განთავისუფლებულ იქნას სასჯელისაგან, რომელიც მას გადაწყვეტილი ქონდა დეზერტირობისათვის.

2. პირველი ქვეითა რაზმის ჯარისკაცებს ტრიფონ და ემელიან კახნიაშვილებს ეპატიოთ სასჯელი დეზერტირობისთვის.

**ერთი მილიონის კრედიტი ონის რაიონის მცხოვრებთათვის პურის მისაწოდებლათ.**

გადაიდოს სამხედრო ფონდიდან ერთი მილიონი მანეთი მთავარ მიმწოდებელ სამართველოს განკარგულებაში ონის რაიონის მცხოვრებთათვის პურის მისაწოდებლად.

**დეკრეტი ტყავეულობის გასაკეთებელ მასალის დამზადება-შეძენაზე მონოპოლიის გამოცხადებისა.**

მიწათ მოქმედების მინისტრის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი ტყავეულობის გასაკეთებელ მასალის დამზადება-შეძენაზე მონოპოლიის გამოცხადებისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

## საუბარი

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან მიმდინარე მომენტზე.**

გაზ. „გრუზიის" გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია ჟურნალისტ ი. კამსკის საუბარი ევგენი გეგეჭკორთან. ინტერვიუ შეეხებოდა დღიურ საკითხებს ამისთვის მოგვყავს მთლიანად.

**გენ. ბარათოვთან მოლაპარაკება.**

— როგორია მთავრობის შეხედულება გენ. ბარათოვთან მოლაპარაკების შესახებ?

— გენ. ბარათოვთან მთავრობის წევრთა შეხვედრა—განაცხადა ევ. გეგეჭკორმა—უკვე მოხდა. შედეგებზე ლაპარაკი ჯერ-ჯერობით მგონია ნაადრევია, რადგან კონკრეტიული წინადადებანი ჯერ არც ჩვენ არც მას არ წარმოუდგენია.

ჩვენი საუბარი გენ. ბარათოვთან საერთო მსჯელობას არ გასცილებია.

საქართველოს მთავრობის პოზიცია ამ საკითხში ნათელია. ჩვენ წინადაც ვამტკიცებდით და ეხლაც ვამტკიცებთ, რომ აგრესიულ პოლიტიკას არავის წინააღმდეგ არ ვაწარმოებთ! თუ ჩვენს უფლებას პატივსა სცემენ. სამართ მდგომარეობის პატივისმცემელნი ჩვენ არასდროს არ ვიყავით და, ბუნებრივია, რომ ჩვენ სიამოვნებით შევეგებებით ყველა ისეთს წინადადებას, რომელნიც ჩვენ გარანტიას მოგვცემს ჩვენი ისტორიულ საზღვრების ხელშეუხებლობისა.

ასეთ ისტორიულ საზღვრად ჩვენ ვთვლით მდ მეხადირის ხაზს, სადაც ჩვენ გავმაგრდით.

თუ ამ ძირითად საკითხში ცევთანხმდით, მაშინ დანარჩენ საკითხებში შესათანხმებელი საფუძველი უკვე მოპოვებული გვექნება. ჩვენ შეიძლება ამის შემდეგ გვქონდეს მოლაპარაკება ყუბანთან საქონლის გაცვლის საკითხის მოსაგვარებლადაც კი.

— გგონიათ თუ არა თქვენ, რომ მოლაპარაკება ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო გამოსვლასაც შეეხება?

— არც ერთ შემთხვევაში ასეთი მომენტი ჩვენს მოლაპარაკებაში არ იქნება. ჩვენ საჭიროების გარეშე ომს არავისთან დავიწყებთ.

— არის თუ არა იმედები, რომ მოლაპარაკება კეთილად დასრულდება ან როგორია გაქვთ წარმოდგენილი შესაძლებელი შეთანხმების გარანტიები.

— გარანტიას, ვიმეორებ, საქართველოს მთავრობა იმაში დაინახავდა თუ მოხალისეთა მთავრობა იცნობდა საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობას და მეხადირის მხრით შემოტევისაგან უზრუნველ გვყოფდა.

**ინგლისელების წასვლის გამო**

— როგორია მთავრობის აზრი ინგლისელების წასვლის გამო? ზოგიერთ კერძო საკითხებში ჩვენ და ინგლისელებს მართალია მოგვდიოდა პატარა უთანხმოებანი, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ის ახალი მდგომარეობა, რომელიც ახალი ძალის შემოსვლამ კავკასიაში შექმნა, აუცილებლად მხოლოდ ურთიერთ გაცნობის შემდეგ მოწესრიგდებოდა. აქედან არ შეიძლება კაცმა დაასკვნას, რომ საქართველო ინგლისის ჯარის აქ ყოფნის წინააღმდეგი იყოს. პირიქით მე უნდა აღვნიშნო, რომ ინგლისის ჯარის აქ ყოფნა ჩვენთვის სასურველიცაა. მე დარწმუნებული ვარ რომ როდესაც ინგლისელები ჩვენს ახალს სახელმწიფოებრიობას მეტის ყურადღებით შეისწავლიან უფრო მჭიდროდ დაგვიახლოვდებიან და ჩვენი უთანხმოებანიც გაქრება.

— გგონიათ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ძალები ინგლისელების წასვლას აგრესიულ პოლიტიკისათვის გამოიყენებენ

— არა მგონია.—უფრო ეს ამიერ-კავკასიის ერების ურთიერთობაზე მოახდენს გავლენას და წმინდა პოლიტიკურ მოტივებით აქ უცხო ძალის ყოფნა არავისათვის არა სასურველი არ იქნება.

**ბათომის საკითხი**

— როგორია ბათომის საკითხი?

— გამეორებაც არ ღირს იმ ჭეშმარიტებისა რომ უბათომოდ საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ ავტონომიაა. ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით, რომ ჩვენი უფლება აღიდგინათ ჩვენ არ შეგვიძლია იმ იმედით არ ვიცხოვროთ, რომ ბრიტანელები როდესაც ადგილობრივ ხალხის სულის კვეთებას გაეცნობიან ბათომს ჩვენ გადმოგვცემენ.

**კლემანსოს დეპეშა**

— რომ გამოიწვია კლემანსოს დეპეშა და როგორია არსებითად.

— კლემანსოს დეპეშა, როგორც სჩანს ცრუ ინფორმაციის ნაყოფია. ჩვენ კლემანსოს ფაქტების აღნუსხვით უპასუხეთ, რომელთა საფუძველი ყველა სიტყვებზე უფრო მეტყველია.

აი მოკლე ანგარიში სომხეთში გაგზავნილ ვაგონების. ამ მცირე ხნის განმავლობაში საქართველოდან სომხეთში გაიგზავნა 3543 ვაგონი სურსათი. თუ ჩვენ როდისმე გადაზიდვა შევაჩერეთ ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა რომ გაგზავნილ ვაგონებს სომხები არ აბრუნებდნენ. სომხეთში დაჭერილ ვაგონების რიცხვი ზოგჯერ 1000-საც აღწევდა იმ დროს, როდესაც ჩვენ სულ გვაქვს 1500 ვაგონი. ბუნებრივია რომ ასეთ ტეხნიკურ შეფერხების დროს გადაზიდვა შეუძლებელი გახდებოდა. ეს არაფრით გამოწვეული არ იყო, აგრესიული პოლიტიკა აქ მოსატანი არ არის.

ი. კამსკი.

## საქართვ. მთავრობის ნოტა

**სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობებს.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: უკანასკნელ ხანს ყარსის ოლქში და ერივნის გუბერნიის ერთ ნაწილში მომხდარი სისხლის მღვრელი შეტაკებები ძალიან აწუხებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. ხსენებული შეტაკებები დამღუპველ ძმათა შორის ომში ითრევს მთელ ამიერ-კავკასიას, მთელ მხარის საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას ართულებს მაშინ, როდესაც მისი ბედი საერთაშორისო კონფერენციაზე სწყდება, და ამიერ კავკასიის ყველა ერებს უმძიმეს შედეგებს უქადის. ასეთ პირობებში ამიერ კავკასიის ყველა რესპუბლიკათა მთავრობებმა ყოველი ღონე უნ და იხმარონ ხსენებულ შეტაკებათა შესაწყვეტად. მათი გამომწვევ მიზეზების მოსპობით და ამიერ-კავკასიაში ეროვნული შუღლის გამომწვევებელ საკითხების მშვიდობიანის გზით გადაჭრით. ამ მოვალეობის ასასრულებლად და მდგომარეობის უკიდურეს სიმძიმის შეგნებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა წინადადებას იძლევა განახლდეს ამიერ-კავკასიის კონფერენციის სხდომები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ე. გეგეჭკორი.

## იტალიის ნოტა აზერბაიჯანისადმი

იტალიის სამხედრო მისიამ ამიერ-კავკასიაში აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი ნოტა გაუგზავნა:

„იტალიის სამეფოს მისმა უმაღლესობამ მინისტრის ამხანაგმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მომწერა რომ თქვენს უმაღლესობას შემდეგი გადმოგცეთ: იტალიის ჯარები ბრიტანეთის ჯარების შეცვლა ამიერ-კავკასიაში აღარ მოხდება.

იტალიის მთავრობას სურს თქვენ რესპუბლიკასთან დაიჭიროს მჭიდრო ეკონომიური და ფინანსიური კავშირი ამ მიზნით იტალიის მთავრობა მზადაა ყველაფერი შესაძლებელი საშუალება იხმაროს. გამოგზავნოს აგრეთვე კავკასიაში ტეხნიკური მრჩევლები, თუ თქვენი მთავრობა ამას სასურველად დაინახავს. ამის გამო იტალიის მისია კავკასიაში დარჩება და მიიღებს ყოველგვარ წინადადებებს და თხოვნებს, რომლებიც მათ მიჰმართავენ.

იტალიაში აღიძრება მრავალი ახალი საქმე და საჭიროა რომ ორივე ქვეყნის მთავრობებმა უნდა ხელი შეუწყონ ორივ ქვეყნის აღორძინების საქმეს.

შემიძლიან დაგარწმუნოთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ იტალიის სამეფოს მთავრობას სულ მთლიანად გაგებული აქვს ის საკითხები, რომელნიც თქვენ გაინტერესებთ, რომ იგი დიდის გულის-ყურით მოეპყრობა თქვენ საკითხს და სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას იმ კამათში, რომელიც თქვენი საკითხის გადაჭრის დროს აღიძრება ახლო მომავალში საზავო კონგრესზე. ხელს აწერს ამიერ კავკასიის იტალიის მისიის უფროსი.

შარლ-მიშელი.

## ბრძანება შინაგ. ნ. საქმეთა და სამხედრო უწყებათა მიმართ

დამფუძნებელი კრების ამა წლის 27 თიბათვის დეკრეტის თავის ნებით წასვლის და სამსახურიდგან გაქცევის პასუხისმგებლობისა და 2 აგვისტოს სამხედრო ბეგრის აუსრულებლობის და ამ დანაშაულის დაფარვის და წაქეზებისათვის დასჯის დეკრეტის ასასრულებლად ეცხადება.

1. სამხედრო სამსახურიდან თავის ნებით წასულნი და გაქცეულნი (დეზერტირები) მოვალე არიან ამა წლის 1-ლ სექტემბრამდე გამოცხადდნენ თავის ნაწილებში ან სამხედრო უფროსთან. ამ შემთხვევაში ისინი სასჯელიდან თავისუფლდებიან.

2. მაზრის და სოფლის საზოგადოებათა კომისრები და მილიციის უფროსები ვალდებულნი არიან 1-ლ სექტემბრიდან მოკიდებული შეიპყრან დეზერტირთა მფარველნი, აგრეთვე მათი წამქეზებელნი, თუნდა უკანასკნელი მშობლები იყვნენ და დაუყოვნებლივ გადასცენ ისინი სათანადო სასამართლოს და ყოველ კერძო შემთხვევაში დატუსაღებულთა შესახებ აცნობონ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

3. მაზრის და სოფლის საზოგადოებათა კომისრები და მილიციის უფროსები ვალდებულნი არიან პირველ სექტემბრიდან დაუყონებლივ შეიპყრან დეზერტირები დ გადასცენ ჯარის მახლობელ ნაწილებს ან სამხედრო უფროსებს. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს იგი დაუყონებლივ გადაყენებული იქნება სამსახურიდან ჯამაგირის მოსპობით და პასუხისგებაში იქნება მიცემული, თანახმად მიღებული დეკრეტებისა.

4. ჯარის ნაწილთა უფროსები ვალდებულნი არიან ადმინისტრაციას გაუწიონ ყოველგვარი დახმარება დეზერტირთა, მათ მფარველთა და წამქეზებელთა შეპყრობაში.

შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი.

## ქრონიკა

◆ **ქართული მარკების ხმარება.** სათანადო დაწესებულების ბრძანებით მარიამობისთვის 15-დან ხმარებაში შემოდის ყველგან ქართული მარკები. რუსული მარკების ხმარება კი შეწყვეტილი იქნება. რუსული საღირბო მარკები სრულიათ კარგავს ძალას.

◆ **სახალხო მასწავლებელთა მოწმობები.** 1918 წლის ზაფხულის არდადეგების დროს ქუთაისში, მთავრობის მიერ გამართულ კურსებზე, ვინც მოისმინა ორი თვის განმავლობაში ლექციები და გამოცდები ჩააბარა, მათ ეძლევა სათანადო მოწმობები; ამის გამო უნდა გამოცხადდნენ წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში ამა თვის 16-იდან 20 რიცხვამდი დილის 8 საათიდან 12-მდი კურსების მდივან ვლ. ბზვანელთან ხსენებული მოწმობების მისაღებად მესამე კათეგორიის მსმენელებმა უნდა წარმოადგინონ საბუთი იმის შესახებ, რომ მათ მიიღეს პრაქტიკა რომელიმე სასწავლებელში და კიდევაც ჩააბარეს სანიმუშო გაკვეთილები ქართულსა და არითმეტიკაში.

◆ **კულტურულ მუშაობისათვის ჯარში.** 1 დივიზიის ინსტრუქტორი პოლკოვნიკი ტ. ართმელაძე დაინიშნა სამხედრო სამინისტროში განსაკუთრებული მინდობილობისათვის, მასვე დაეკისრა კულტურული მუშაობა ჯარში.

◆ სამხედრო სამინისტროსთან არსებულმა კულტურულ-განმანათლებელმა სექციამ დაადგინა, გახსნას სამკითხველოები ჯარის ყველა ნაწილებში.

◆ ამავე სექციამ გახსნა ჯარისკაცთა უნივერსიტეტის განყოფილებები ავლაბარში და ნაძალადევში.

### ეკონომიური ცხოვრება

◆ სავაჭრო სამრეწველო სააქციო საზოგადოების „საქართველო"-ს აქციებზე ხელის მოწერა ქ. ჭიათურაში მიიღება ალ. გრიგოლაშვილთან, ქ. სიღნაღში—კოტე ტყავაძესთან, თელავში დიმ. რჩეულიშვილთან, გურჯაანში კი დავ. ლუკაშვილთან.

◆ **ტიტე მარგველაშვილი** ამავე სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგ. „საქართველო"-ს საქმეების გამო იყო ქიზიყში და კახეთში; ამ დღეებში იგი გაემგზავრება დასავლეთ საქართველოში.

### შეცდომის გასწორება.

გუშინდელებში **ლ. ხარბიელის** წერილში შემდეგი შეცდომებია: სწერია: ჰონის ფერი უნდა ეწეროს: ქონის ფერი. სწერია: ორი მხრით უნდა იყოს: ორი მხრით. სწერია: მოკავშირეთა საბჭომ უნდა იყოს: მოკავშირეთა საბჭომ. სწერია: გადასახად საშუალებათა მაქსიმუმი უნდა იყოს: გადასახიდ საშუალებათა მაქსიმუმი. ბოლო სტრიქონებში სწერია: ეს არის ნამდვილი ქამების ბუნება. უნდა ეწეროს: ეს არის ნამდვილი ჯაშუშის ბუნება. სწერია: მომხის ერის საბჭოები მართვენ უნდა იყოს: სომხის ერის საქმეებს მართვენ.

### ტან-ვარჯიშობისათვის

— **მთავარ გამგის თანამდებობა.** საქართველოს რესპუბლიკის სკოლებში ტან-ვარჯიშობის საქმის მთავარ გამგედ დაინიშნა დამსახურებული მასწავლებელი თბილისის ყოფილ ქართულ გიმნაზიისა და საზ. „შევარდენის" ვარჯიშ თავი გიორგი იგნატაშვილი.

მის თანაშემწეებად დაინიშნა. პოლკ. არჩ. ბაქრაძე და ინჟინ. ირაკლი ლორთქიფანიძე.

ბ. იგნატაშვილს პრაჰაში გათავებული აქვს ტან-სავარჯიშო კურსები და 1912 წელს საერთაშორისო შეჯიბრებაზე პირველი ჯილდო აქვს მიღებული.

— **„შევარდენი" დ. ჯიხაიშში.** დაბა ჯიხაიშში გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მარიამობისთვის 1-დან გაიხსნა ქართულ „შევარდენის" განყოფილება.

— **„შევარდენი" ქუთაისში.** მომავალ ენკენისთვიდან ქ. ქუთაისში ის. გაბაშვილის და დავ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით გაიხსნება ტან-სავარჯიშო ზოგადოება „შევარდენი".

### სამხატვრო ქრონიკა

**სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ზ. ჭიჭინაძის ახალი წიგნი: სოლ. დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

## პროვინციის ცხოვრება

### ქ. ბათუმი.

— **ნახშირის უქონლობის გამო** ბათუმის ზოგიერთი ქუჩები გაუნათებელი რჩება. ეს გარემოება ხელს უწყობს ქურდ მძარცველებს. ქალაქს მიუღია ღონისძიება რათა სტამბოლიდან ნახშირის მიღება დააჩქარონ.

— **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრებმა** დაათვალიერეს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილები და დარწმუნდნენ, რომ ბათუმი საშინელ ანტი-სანიტარულ მდგომარეობაშია. დიდი შრომა და სახსარია საჭირო ქალაქის გასუფთავებისათვის. როგორც გადმოგვცემენ, ქალაქში არაა საკმაო რიცხვი ურმებისა და ბოჩკებისა ნაგვისა და სიბინძურის გასატანად. საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს ქალაქის უსუფთაობას, თორემ ხოლერა, რომელიც უკვე გაჩნდა ქალაქში მცხოვრებლებს მუსრს ავლებს. ქალაქის თვითმართველობას სანიტარული ნაწილი ჩამორთმეული აქვს. ამ საქმეს განაგებს საოლქო ექიმი ბ-ნი სოკოლოვსკი.

— **სკოლისათვის ბინების საკითხი.** სკოლებისათვის ბინების საკითხი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია, ქართულ გიმნაზიას არა აქვს ბინა ჯერ კიდევ არა აქვს ბინა ზოგი სხვა სასწავლებლებიც ამ მხრივ არა ნორმალურ მდგომარეობაშია, ვინაიდან ზოგი სალამობით მეცადინეობდა და ზოგიც ორ სამ ალაგას იყო მოთავსებული. საჭიროა დროზე მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება. მომავალ სასწავლო წელში მოწაფეთა რიცხვი დიდათ იმატებს. ახლავე თუ არ იქნა ამ საქმისადმი სათანადო ყურადღება მიქცეული, მერე გვიან იქნება.

— **სამუსულმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებამ.** უკვე მიიღო საქართველოდან სამი ვაგონი სიმინდი ღარიბ ქართველ მუსულმანთათვის. საზოგადოება რეგულიარულათ მიიღებს სიმინდს შემდეგშიაც. ამ საქმის უკეთ მოსაწესრიგებლათ საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი გაემგზავრა თბილისში.

— **სომეხ ლტოლვილთა.** თავშესაფარები ალაგები საშინელ სიბინძურეშია. ამ ლტოლვილებმა მოგვიტანეს აქ ხოლერა. საჭიროა საჩქარო ღონისძიება რათა ლტოლვილთა ბინები გასუფთავდეს. საჭიროა აგრეთვე ლტოლვილთათვის კარანტინის დაწესებაც საზოგადოთ ლტოლვილები დიდ გასაჭირში არიან და ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება ესაჭიროება იმათგან, ვინც ამას ვალდებულია.

— 30 ივლისს, ღამით, მეორე ნაპირის ქუჩაზე სასტუმრო „კობულეთს" თავს დაესხნენ ბოროტ-მოქმედები და გაძარცვეს სტუმრები. წაიღეს 53 ათასი მანეთი ბონებით და ნიკოლოზის ფული 650 მანეთი. ოქროს საათი და ოქროს ფული. ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

— ინგლისის სამხედრო სასამართლომ რევოლვერის უნებართვოთ ტარებისათვის დააჯარიმა სამი ათასი მანეთით დელი-კუდოღლი.

— სასტუმრო „კოლხიდის" ერთი გამძარცველთაგანი, როგორც გადმოგვცემენ, დაუტუსაღებიათ; მას აღმოჩენია ათას მანეთიანი კერენსკი, რომელიც პატრონს წინათ დანიშნული ჰქონია და ამ ნიშნით ეს ფული პატრონმა თავისათ სცნო.

— ჩრდილო კავკასიიდან ბათუმში ჩამოყვანილი ლტოლვილები ამ დღეებში თბილისით გაიგზავნა სანაინში. სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებული იტყობინება სანაინიდან, რომ თბილისიდან ნუ გაგზავნიან იქ ლტოლვილებს. რადგან ბევრი მოგროვდა და მათი გაგზავნა სომხეთში ძნელდებაო.

### ქ. ახალციხე.

მესხეთ ჯავახეთში დიდი გვალვები დაიჭირა. ახალციხის [illegible] შევრგან გადახმა. გვალვამ ბაღებიც დააზიანა.

### გორჩალო.

პურის მოსავალი ნაკლებია. ღვინის იმედი სულ არ არის. სიცხეებ დუტანილია ხალხი თრიალეთში იხიზნება საგრილოდ. არჩევნებში ადგილობრივი სომხობა მონაწილეობას არ იღებს.

## ამერიკულ მწერლის აზრი ამერიკის მანდატზე სომხეთისთვის

ლონდონის გაზ. „ტაიმსს" მოჰყავს ერთ ამერიკელ მწერლის აზრი სომხეთზე ამერიკის მანდატის შესახებ, რომელშიც სხვათა შორის, შემდეგია ნათქვამი:

„საჭიროა აღიარებულ იქმნას, რომ სომხეთზე ამერიკის მანდატის საკითხი გარეშე ერების ქიშპობის მიზეზით მეტის-მეტად რთულდება. რუსეთი თავის ძალებს აღადგენს, რაც მეტად შესაძლებელია, იგი მოითხოვს არა მარტო კერძოდ სომხური ოლქების, არამედ სტამბოლსაც, როგორც 1915 წ. დაჰპირდნენ საფრანგეთიდან დადებულ ხელშეკრულებაში შედარებით ძლიერ სომხეთის შექმნა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ინტერესებსაც შეეხლება ევფრატზე.

ოსმალეთი კი ალბად, მოითხოვს თავის სომხურ ოლქების უკანვე დაბრუნებას. საკითხი რთულდება აგრეთვე მაჰმადიან ქურთების მეტობითაც. ცნობილია, რომ დღეს იგინი სომხეთში უმრავლესობას შეადგენენ.

თუ შეერთებული შტატები მიიღებენ სომხეთის მზრუნველობას იძულებული იქნებიან მრავალი რკინის გზები გააკეთონ მთიან ადგილებში. საჭირო იქნება ნავთსადგურების გაკეთება, დიდი ჯარის შენახვა რომელიმე ერთ ქვეყანაში, სადაც ჩვეულებრივ სუფევს უწესობა, სადაც ეროვნული შუღლი ხშირად იწვევს სისხლის მღვრელ შეტაკებებს. საჭირო იქნება არა ნაკლებ ნახევარი საუკუნისა რომ სომხეთი ფეხზე დადგეს, და მეორე მხრივ ხალხთა ლიგის მიერ არც ერთ მანდატს შეძლება არ ექნება უანგაროდ სამსახური გაუწიოს კაცობრიობას. სომხები მშრომელი ხალხია მათი ქვეყანა მდიდარია მადნებით, რაც აუცილებლად სომხეთის განვითარებას ხელს შეუწყობს.

შემდეგ მწერალი ეხება სტამბოლის და ანატოლიის საკითხს, თუ იგინი შეერთებულ შტატების მანდატის ქვეშ იქნებიან და ასე დაასკვნის:

„მანდატების მიღება სტამბოლზე, ანატოლიაზე და სომხეთზე ნიშნავს მზრუნველობის მიღებას იმ ქვეყნებზე სადაც მრავალ საუკუნოებით უბრძოლიათ სარწმუნოების და ტომობრივ უპირატესობისათვის.

სომხეთის მანდატის მიღება კი უფრო პატარა, მაგრამ არა ნაკლებ კეთილი საქმე იქნებოდა.

თუ ჩვენ არ მივიღებდით ოსმალეთის სომხეთის მანდატს, მაშინ სომხეთი გახდებოდა მრავალ კონფლიქტების მიზეზად. რასაკვირველია, ამერიკის მანდატი სომხეთისათვის შექმნიდა ბუფერს, რომელიც გაჰყოფდა ევროპიულ სახელმწიფოთ გავლენათა ფარგლებს. შესაძლებელია, რომ ჩვენ, ამერიკელები, როგორც ჰფიქრობენ პარიზში, მოვალენი ვართ მივიღოთ სომხეთის აღორძინების საქმე, და ამერიკამ იკისრა ეს, მაშინ არც ერთი ამერიკელი არ უარყოფს იმას, რომ ეს იქნება ძნელი და სახიფათო საქმე".

## წერილები სოფლიდან

II

„ფ უ ლ ი".

გორიდან ჩემ სოფლამდე კაი მანძილია, 18 ვერსი. განვიზრახე რა წასვლა, მივმართე მეეტლეებს, რომელნიც დადიან გორიდან ცხინვალამდე და უთხარი, რომ ცარიელი კაცი ვარ და წამიყვანეთ მეთქი. „საცა იქნება, მოგთავსდებით", დაუმატე. „წაგიყვანთ, მაგრამ 250 მანეთს გამოგართმევთო". მე გამიკვირდა—„მთელ ეტლს კი არ ვიჭერ, ერთი ადგილი მინდა-მეთქი". —მარტო შენთვის 2000 მანეთადაც არ წავალ, ერთი ადგილია 250 მანეთიო". არა ვუთხარი რა, გამოვბრუნდი... დარჩენა მაინც არ იქნებოდა გავუდექ გზას, გზაში ერთად მოვხვდით რამდენიმე ზემო-მხრელები და როგორც ყველგან და ყოველთვის, ლაპარაკი სიძვირეზე ჩამოვარდა. აქეთ-იქითის ლაპარაკის შემდეგ ერთმა თანამგზავრმა მითხრა, არ ვიცი, გასაცინად თუ რად თუმცა მე არ გამეცინებია და მას კი ეცინებოდა: „მარშან პური გავყიდე, მერე მივდექ-მოვდექი და ფული

ვიშოვე, წინადაც მქონდა და ერთი დენიმე ათას-ორასი თუმანი ბეღელში შევინახე, კიდეც გადამავიწყდა, ე რამდენიმე ხნის შემდეგ მომაგონდა, მივედი სანახავად და ი ვე'რანა თაგვს ნაკუწ-ნაკუწ ექცია და ზოგისგან ბუდე გაეკეთებინაო და ჩაიცინა... გაკვირვებით შევხედე, მაგრამ გულწრფელად იცინოდა... გზაშივე გავიგე, თუ რა ფასებს აძლევენ კამეჩებში თუ სხვა საქონელში" სოფ. მ—ი ულელ კამეჩში მიუცია გლეხკაცს 36,000 მანეთი. იქვე მიუციათ ულელხარში 25,000 მან. და ამგვარად...

ეს გზაში. ადგილობრივ ჩემს სოფელში კიდევ მეტი ამბები დამხვდა. 2-ნახევარი დესეტინა მიწა გაუყიდნია აქაურ ყოფილ მემამულეს თავის ნორმიდან 75,000 მანეთად და იყიდეს აქაურ გლეხკაცებმა. ვკითხე, თუ რათ ყიდულობდნენ და ამოდენა ფულს რად აძლევდნენ-მეთქი და მიპასუხეს: „ეს ჩემთვის უფრო საიმედოა, ფულს ვაძლევ და ვიცი, არავინ წამედავება...

აგრეთვე დიდი ფასი აქვს ყოველივე იმას რაც სოფლის ნაწარმოებათ ითვლება არამც თუ დიდი ფასი არამედ სრულიადაც არ ყიდიან, რაც შესანახია ინახავენ... ზოგს ორი სამი წლის პური აქვს შენახული, აგრეთვე სიმინდი და სხვა ხორბლეული... ან რად გაჰყიდის როდესაც ფული ბლომად აქვს, იგი მოჭარბებულია, იყიდა ყოველივე რაც უნდოდა და რაც იცოდა. საქონელი ჰყავს, „პალტო" ჩაიცვა, სამიკიტნოში შედის სამ ოთხ ათ თუმნიანს უგდებს დახლიდარს და ეუბნება ამის ღვინო ჩამომისხიო, მაშ რა ჰქნას სხვა რომ არ იცის? რაში დახარჯოს? და ამავე დროს ნუ გაუხსენებ სასოფლო გადასახადებს, ერთმანეთს აღარ ენდობიან, ფულს სჭამენო.

ასეთი საშინელი გაბათილება ბონებისა არსად არ არის ისე როგორც სოფლად, არამც თუ გაბათილება არამედ იგი ყოველღირებულებას მოკლებულია და შორს არ არის ის დრო როდესაც ერთ ურემ ჰარხალში ერთი ურემი ბონები უნდა მიიცეს. და თუ გაგრძელდა ასე თუ ეს ფული სოფლიდან არ გამოიდევნა და მთავრობამ არ დაიბრუნა, თუ მთავრობა მარტო ფულის საჭრელ დაზგებს დაეყრდნო და არ აკრიფა ის გადასახადები, რომელიც ვალად აწევს გლეხკაცობას და ასე აწუხებს მათ, ჭეშმარიტად რომ ცუდი დღე დაუდგეს ჩვენს რესპუბლიკის ბონებს და სულ ადვილი შესაძლებელია, რომ ქართული ფული რომელსაც ეხლა აუზადებენ სრულიად აღარ გავიდეს ჩვენსავე ხალხში.

ნ. კეცხოველი.

## კულტურული მუშაობისთვის ჯარში

გაზეთებმა გვამცნეს, რომ დასრულდა ჯარის რეორგანიზაცია და მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ კულტურულ მუშაობის მოწყობას ჯარში ერთი პირველ ადგილთაგანი დაუთმესო.

ჩვენ გვგონია რომ ეს კულტურული მუშაობა ჯარში ორი ნაირი იქნება; ერთი ძირითადი, რომელიც ეცდება ყოველივე ჯარის კაცი გარდაქმნას შეგნებულ და ღირსეულ მოქალაქედ ამ ნაირ საქმის დაწყება ითხოვს დიდ წინასწარ მუშაობას, მომავალ შრომის ყოველ მხრივ შესწავლას, მის გაზუქებას, აწონ-დაწონვას და სხვა.

მაგრამ ამავე კულტურულ მუშაობაში არის მეორე მხარეც, რომელიც არ არის ძალიან რთული, არ არის მძიმე და ითხოვს დაუყოვნებლივ საქმის სისრულეში მოყვანას.

ერთ ამ, თავისებურ პატარა საქმეზედ მსურს მივაპყრა ზემო დასახელებულ კულტურულ მომუშავეთა ყურადღება.

თბილისის ნაწილში, რომელსაც ნავთლუღი ეწოდება, არსებობს მოზრდილი სამხედრო დაწესებულება: ეს არის ჰოსპიტალი, სადაც ყოველთვის რამდენიმე ასეული დაჭრილი, დასახიჩრებული ან ავათ მყოფი ჯარის კაცი წევს და ხშირად კარგა ხნის განმობავნლობაში.

მრავალი ჯარის კაცი მთელ დღეებს და კვირეებს თვის ავადმყოფობის განმავლობაში აღარ ათენებს უსაქმურად უაზრო ლაყბობაში ან ქაღალდის თამაშში ფულზე, თუთუნზედ, შაქარზედ და ხილზედ.

მთელ ამ ვებერთელა დაწესებულებას ისე მოივლი, რომ ვერსად ვერც ერთ ქართულ წიგნს ვერ იპოვნი, რომ წაიკითხო, არ მოიპოვება აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები.

ფრიად საჭირო კი არის ამ დაწესებულებაში მოეწყოს სამკითხველო ქართულ და რუსულ გაზეთებით და რამდენიმე ათეულ ქართულ წიგნით; ამისათვის კი სამხედრო ჰოსპიტალს ყოველივე მოეპოვება, ბინა, ავეჯი და სხვა ხელსაწყო; ხარჯებს მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების და წიგნების ყიდვა შეძენა თუ გამოიწვევს, მაგრამ ყოველივე საქმის დაწყობა შეიძლება მცირე მაშტაბით, მცირე საზომით; პირველად დიდი წიგნთსაცავის შექმნა არ არის საჭირო; ოცი ან ორმოცი შინაარსიანი ქართული წიგნი სრულიად დააკმაყოფილებს პირველად ავადმყოფთა სულიერ და კულტურულ მოთხოვნილებას, შემდეგში საქმე ნელ-ნელა გაუართოვდება.

ეს საქმე არ არის ძნელი მოსაწყობად, სარგებლობა კი მისი დიდი იქნება. იგი (წიგნის და გაზეთის კითხვა) სხვა რო არა იყვეს რა ცოტათი მაინც შეუმსუბუქებს იქ მყოფ ჯარისკაცთ ავადმყოფობის მძიმე და მოსაწყენ დროს, მისცემს საზრდოს სულს და გონებას.

აგრეთვე შესაძლებლად მიგვაჩნია სამხედრო ჰოსპიტალში მოეწყოს საჯარო კითხვები და მეცადინეობა, მხოლოდ უკანასკნელი როგორც უფრო რთული საქმე ითხოვს შესაფერ სამზადისს.

ი. ხ.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

**სასურსათო საკითხი ინგლისში.**

როგორც საქართველოში მყოფი ინგლისის შტაბი იუწყება, მომარაგების მთავარი კონტროლიორმა რობერტსმა, თავის სიტყვაში ქადარტფორდში განაცხადა: „მოგების სურვილი არ შესდგება და ფასებიც სანოვაგეზე არ დაიწევს, თუნდაც მთელ ვაჭრებს თავებიც დაეკვეთოთ.

მთავარი მიზეზი არის ის საერთო არეულობა, რომელიც ამ ხუთი წლის ომმა გამოიწვია. ერთად-ერთი გამოსავალი ეხლა არის წარმოების საერთო გაზრდა.

**ნახშირის საკითხი ინგლისში.**

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ნახშირის დამმზადებელთა ფედერატიულ საზოგადოების კონტროლიორის სიტყვით იორკშაირის მაღაროებიდან ნახშირის ამოზიდვის საქმეში შეთანხმება ჩქარა მოხდება.

**მსოფლიო ომის სახსოვარი.**

პარიზიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა შორისო კომისიამ რომელსაც დავალებული ჰქონდა მსოფლიო ომის სახსოვრად ძეგლის პროექტის შემუშავება თავისი საქმე დაასრულა. კომისიის აზრით ბელგიის ფრონტიდან მომავალ ყველა გზების მეშოძირში უნდა აშენდეს ქალაქი სადაც იქნება ლიგის ადგილ სამყოფილი. ეს ქალაქი იქნება მსოფლიო ომის სახსოვარი ძეგლი.

**უნტ. ოფიც. მანნჰეიმის დაკრძალვა.**

როგორც პარიზიდან იუწყებიან, რომ უნტ. ოფიც. მანნჰეიმის ცხედრის ბერლინიდან გამოსვენების დროს ბერლინის ბაქანზე შეიკრიბენ გერმანელი სარდლები და სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი. გერმანულმა სამხედრო ყარაულმა გამოსათხოვარი სალამი მიუძღვნა.

**ხმელთა შუა ზღვაზე გადაფრენა.**

პარიზიდან იუწყებიან რომ კაპიტ. მარშალი ხმელთა შუა ზღვაზე გადაფრინდა სენ-რაფაელიდან ბიზერტაში.

**შანდუნის საკითხი.**

მოკავშირეებმა ბოლო ხანებში გადამწყვეტი ნაბიჯები გადასდგეს შანდუნის საკითხის მოსაგვარებლად. ამით სურთ ჩინელთა ხელის მოწერა ვერსალის ზავზე დაიჭირონ.

**საფრანგეთის ჯარის რეორგანიზაცია.**

პარიზის „პტი ჟურნალი" იუწყება, რომ მარიამობისთვის დასაწყისში საფრანგეთის ჯარების მთავარ სარდლობის თანამდებობა გაუქმებულ იქნება. მის მაგიერ დაწესდება უმაღლესი სამხედრო საბჭო და გენერალურ შტაბის უფროსის თანამდებობა.

მარშალი ჰეტენი გენერალისიმუსის სახელის მაგიერ ეხლა მიიღებს შტაბის უფროსის სახელწოდებას.

**იუდას ძეგლი.**

პეტროგრადიდან იუწყებიან რომ ტამბოვის საბჭომ დაადგინა იუდა ისკარიოტელს დაუდგას ძეგლი; ბოლშევიკებს ჰგონიათ ამით დაამტკიცებენ რომ ისინი თავისუფალი არიან ცრუ-სარწმუნოებისაგან (რეიტერი).

**ს პ ა რ ს ე თ ი.**

გაზ. „რაჰათ" იუწყება, რომ უმაღლეს მთავრობის ბრძანებით მაზანდარანში მოსახლეობის განიარაღება მოხდარა. ქალ. ბალფრუშში ჩამოსულა სპარსეთის ჯარი. რომლის უფროსად რუსი პოლკოვნიკია.

**გერმანულ კრეისერის ჩაბარება.**

ლონდონიდან მოსულ ცნობის თანახმად დანციგში მოსულა გერმ. კრეისერი „გრაფი შპეე". ეს კრეისერი ომის დროს არის აგებული, მოკავშირეებისათვის ჩასაბარებლად.

## ახალი პარტია ოსმალეთში

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ალი-ფემალ-ბეის განზრახვა აქვს დაარსოს ახალი პოლიტიკური პარტია, რომლის მიზანი იქნება მოკავშირეებთან დაახლოვება. ამ პარტიას ექნება ორი ოფიციალური ორგანო ერთი ფრანგულ ენაზე, გაზ. „ანტანტი" და მეორე ოსმალურზე „პეიამი" („ქოლ. ძაინ")

## ინგლისის სამხედრო მისიის ცნობა

თბილისი, აგვისტოს 6.

1) ოსმალეთში ოფიცერმა სალილ-ბეიმ რომელიც სომხეთის წინააღმდეგ ამხედრებულ თათრებს სარდლობდა რამდენიმე დღის წინად სომხეთს ულტიმატუმი წარუდგინა სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე და შარურსა და ნახიჩევანში პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებამდე თათრების ადმინისტრაციის ცნობის შესახებ. ამ ულტიმატუმზე არავითარი პასუხი არ გასცეს ივლისის 25 ყომარლიუს სომეხთა საველე შტაბში მატარებელი მოვიდა 29 დაჭრილით და სომხეთის ჯარით რომელიც თათრებს ტყვედ წაეყვანად და სალილ-ბეის განკარგულებით გაანთავისუფლეს. ამ 29 კაცის აზრით სომხების მხრით სამხედრო მოქმედების განახლებას მოჰყვება თათრების ხელში დარჩენილ 250 სომხის ამოხოცვა, რომელთაც აქამდე კარგად ეპყრობოდნენ ბრიტანიის სამხედრო წარმომადგენლები ყოველთნეს ხმარობენ რომ ისინი თავდების ქვეშ გაანთავისუფლონ.

2) პოლკოვნიკმა ბელუუმ ყომარლიუში წერილი გაგზავნა და იმედი ჰქონდა რომ შესძლებდა ივლისის 30 თათბირის მოწყობას თათრებთან. მანამდე კი ყომარლიუს დამცველი სომხები გარშემორტყმული იყვნენ ბეიუკვედში. სომხეთის ჯარი საუცხოვოდ იბრძოდა და დიდი მამაცობა და სამშობლოსადმი სიყვარული გამოიჩინა.

## დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 2-ს.

### ბოლშევიკური ცნობები.

სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. მდგომარეობა არ შეცვლილა. დასავლეთის ფრონტი. ნარვის მიმართ ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა იამბურგი დაიჭირა. პსკოვის მიმართ ჩვენმა ჯარმა ახალი პოზიციებზე დაიხია. მინსკის რაიონში მთელ ფრონტზე ბრძოლაა, ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭირა და წინ მიიწევს. ლუცკის მიმართ ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია სტარო-კონსტანტინოვკის რაიონში ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 1 ზარბაზანი და 5 ტყვიის მფრქვეველი ოდესის რაიონში აჯანყებულ გერმანელ კოლონისტებთან ბრძოლაა.

სამხრეთის ფრონტი. ჩვენ ელანი დავიჭირეთ. კამიშინის მიმართულებით ილმენევი და კრასნიარი (კამიშინის ჩრდილოეთით) დავსტოვეთ. დამატებითი ცნობით, 2 და 3 აგვისტოს ბრძოლის დროს ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 16 ზარბაზანი, 60 ტყვიის მფრქვეველი და მრავალი სამხედრო მასალა.

აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ტროიცკოეს რაიონში ჩვენ სად. ნიჟნუალსკაია დავიჭირეთ. ჩელიაბინსკის რაიონში ბრძოლით წინ წავიწიეთ. კამიშინის რაიონში დალმატოვის სამხრეთით ბრძოლაა. ჩრდილო აღმოსავლეთით შადრინსკზე ჩვენი შეტევა გაგრძელდება.

**უნგრეთის ახალი მთავრობა.**

ლიონი. აგვ. 5. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ ბუდაპეშტში მყოფ იტალიის მისიის უფროსის რომანელის ცნობით. უნგრეთის ახალი მთავრობას სურს დროებითი ზავის პირობების ასრულება.

**ბოლშევიკები საბჭოთა მთავრობის დაცემაზე.**

მოსკოვი. აგვ. 5. სოციალიზმის გამყიდველები პირველად გამიენბაურენენ კაპიტალისტების მოკავშირეთა მთავრობის პროვოკაციულ მოწოდებას უნგრეთში მუშათა და გლეხთა საბჭოთა მთავრობის ზურგს უკან დაიწყეს. მოკავშირეებთან გამოლაპარაკება და გაჰყიდეს უნგრეთის მუშები და გლეხები. აგვ. 1. უნგრეთის საბჭოთა მთავრობა გადადგა. კომუნისტური საბჭოს წევრები და სახალხო კომისარები ბუდაპეშტიდან გაქცევას ეცადნენ, მაგრამ ავსტრიის საზღვარზე ისინი დაიჭირეს. დაპატიმრებულები ვენაში მოიყვანეს. ბურჟუაზია სოციალისტური წესწყობილების დარღვევისთვის ემზადება. კომუნისტები სამაგიეროს გადაუხდიან. იმავე დროს სოციალ-გამყიდველებმა ბუდაპეშტში ახალი მთავრობა შეადგინეს. ახალი მთავრობის პირველი საქმე იყო კერძო საკუთრების აღდგენა მემამულებისთვის მამულის დაბრუნება, კაპიტალისტებისთვის ფაბრიკა-ქარხნების გადაცემა. ბურჟუაზია ზეიმობს. სოციალისტურ უნგრეთში კაპიტალისტური წესწყობილება აღადგინეს.

**ჩელაბინსკის აღება**

მოსკოვი. აგვისტოს 5. ჩელაბინსკთან ბრძოლის დროს წითელმა ჯარმა ჩეხელთა და სერბიელთა პოლკები დაამარცხეს. ჩელიაბინსკის აღების დროს ჩვენ ხელში ჩავიგდეთ დიდძალი სამხედრო მასალა, სურსათი, ნახშირი, 2,000 ვაგონი და 32 ორთქმავალი. წამოვიყვანეთ 1500 ტყვე. ჩვენი დავლა უდრის მილიარდ მანეთს. ჩელიაბინსკის დაჭერის შემდეგ მტერმა ძალების მოგროვება დაიწყო. კოლჩაკის არმიიდან გამოქცეულები გადმოგვცემენ, რომ გენ. ბელოვის ჯარში საშინელი განწყობილება ეცემა, რაც აიხსნება ცუდი მოპყრობით, ჩაუცმელობით და მცირე ჯამაგირებით, რომელიც თავის დროზეც არ ეძლევათ

**შორეულ აღმოსავლეთში.**

ორენბურგი. აგვ, 3. უსურიის და ამურის ყაზახების ნაწილი, რომელიც საბაროვსკში იდგა, საბჭოთა ჯარის მხარეზე გადავიდა. რაზმი, რომელიც დასაწყნარებლად გაიგზავნა... (ჯამოტოვებულია) აჯანყებულები ბრძოლით მივიდნენ ჩინეთის საზღვრამდე, სადაც მუხინის რაზმს შეუერთდნენ. ირკუტსკსა და კრასნოიარსკის შუა აჯანყებულებმა ფრონტი გაარღვიეს მურავიოვის რაზმის მეთაურობით. ენისეის გუბერნიაში კალანდარიშვილის რაზმი მოქმედობს.

**დენიკინის წინააღმდეგ.**

ჩერნიგოვი. აგვ 4. ეკატერინოსლავის ფრონტზე დენიკინს გლეხები აუჯანყდნენ და მის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმებს ადგენენ.

**პროტესტები დენიკინის წინააღმდეგ**

კონტოპი, აგვ. 4. დენიკინელების სიმხეცემ ქალაქის საბჭო აიძულა პროტესტი გამოეცხადებია. საბჭომ გენ. მაი-მაიევსკის დელეგაცია გაუგზავნა მუშების და მცხოვრებთა დახოცვის მიზეზების გამოსარკვევად.

**მოხალისეთა სიმკაცრე**

ჩერნიგოვი, აგვ. 4. ეკატერინოსლავის კომენდანტმა პავლოვმა ბრძანება გასცა ყველა სახლის კომიტეტების შიმართ, რომ შეატყობინონ ყველა მათი სახელი და გვარი, ვისაც საბჭოს მთავრობასთან რაიმე დამოკიდებულება აქვს. გენერალი პირდება რომ მათ ყველას მცხოვრებლების თვალ წინ ჩამოახრჩობს.

## პატარა ფელეტონი

### „ბ ე დ ი ა"

აფხაზური ლეგენდა.

კეკლუცი, ტურფა და თვალწარმტაცი ბუნება აფხაზეთისა, იგი ცით სამოთხისებური წალკოტი შეუდარებელი და სწორუპოვარია. აქ ზღვის ლაჟვარდოვანი ზეწარი ხან პირქუში და გაუტანელი, ხან კი წყნარი და ნარნარი ოდნავ მოსრიალე ტალღებით, მთა რომელიც თავზედ წამოსჰკვრია ზღვის კიდურს მუდმივ ჭაღარა მწვერვალებით, ბაში მათ შორის ნაზად გაჭიმული ათასნაირის ყვავილებითა და მცენარეებით აფერადებული ერთმანეთში გადახლართულ-გადაკონილან და ყველა მათ კი ერთად ისეთი ზემოვლენილი სურათი შეუქმნიათ, რომლის მზგავს თითქმის ვერსად ვერა ჰპოვებს ადამიანი. აბა გადაჰხედეთ ამ სურათს გაზაფხულის პირზედ, როდესაც ზღვა ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა და აბობოქრებული გაშმოთებული უშველებელს მთის ოდენა ზვირთებს მიაქანებს და დანგრევა-ჩაყლაპვას უქადის სანაპიროებს. გაჰხედეთ მეორეს მხარეს ბუმბერაზ მთის კიდურებს, რომელნიც ჯერ კიდევ საყინულეს წარმოადგენს, არ გამდნარ—გამხვალა მისი გული და ზამთრის სულის შეხუთვა მოვლენათა შორის სოლსავით შეჭრილს ბარს, თუ ოდნავ მაინც ეტყობა მათი მრისხანება, მათი მმუსრავი კლანჭები, სულის ამომღები სიმკაცრე. ზღვა გააფთრებული და მთა გაყინული ერთი ბეწვადაც ვერ მოქმედებს ტურფა ველი მინდორზედ ის რაღაც უცნაურს, საკვირველს კონტროსტს წარმოადგენს, ვერავითარი სიმკაცრე მასზედ ვერ მოქმედებს, იგი დაუმზრალია, და მიირთულ მოკაზმული გაზაფხულს დღესასწაულობს, ჰყვავის, უხარის და ფიანდაზად უშლის თავისს გულმკერდს გულცივს მთასა და ზღვის კიდურებს. მართლა აქ რაღაც საკვირველებაა, რაღაც სასწაულია, არამც თუ მარტო გაზაფხულზედ როდესაც ბუნება იღვიძებს, არამედ ზამთარშიაც როცა ზღვასა და მთაზედ სიცივე და ყინვაა, მათ შორის გაჭიმული ველ-მინდორი ოდნავადაც არ იმჩნევს ბუნების ცვლილებას და იგი მაშინაც მწვანეა, ლაღანი გაუდის, უცინის ზღვის კიდურებს. ასეთია აფხაზეთის ბუნება, მის ველ-მინდორსა ზამთრის სუსხი ვერას აკლებს, იგი გალიაში ჩამწყვდეულს ფრინველსავით ნაკლებადა გრძნობს რა ჰხდება მის წინ აყუდებულის მთის მწვერვალებზედ ერთის მხრივ და დაუნდობელს ზღვის კიდურებზედ მეორეს მხრივ.

ამ ტურფა, დაუმზრალს, მუდამ მზიანს ქვეყანაში ყველაზედ უფრო მიმზიდველია და უზენაესად შემკული, ამ ტურფა წალკოტის უმწვერვალესი გვირგვინი—ბედია. ჭაღარით მოსილი ბედია, ნამდვილი საკვირველებაა ამ სწორუპოვარ ქვეყანაში. იგი როგორც მედიდური მეპატრონე ამ ტურფა წალკოტისა, თითქოს ფარეშნასავით დასტრიალებს და მზრუნველურად გადმოჰყურებს მთელს მიდამოს ამ საკვირველი ქვეყნისას. რა არის ბედია? აი ამ ველმინდორზედ, რომელიც ზამთრობითაც კი დაუმზრალია, მთასა და ზღვას შუა გაჭიმულია ტრიალს მინდორზედ აღმართულია საკვირველად კოხტა და მოხდენილი კეკლუცი მოზრდილი ტანის გორაკი, რომელიც საყარაულო მთასავით გადმოჰყურებს მთელს არემარეს. მნახველი მას თვალს ვერ აშორებს, მისი ცქერით ვერ ძღება, სურათის სიდიადე ისე იტაცებს, ისე ნთქავს და აფრთოვანებს, რომ გაშტერებულ-გაბრუებული სურათის და სანახაობის სიდიადით ვერ გამორკვეულა, ვერ მიმხვდარა და ვერ წარმოუდგენია სურათის ასე შეხამება, ასე აფერადება და შეხმატკბილება. ეს სწორედ მოჩვენებაა, სიზმარია და არა სიცოცხლეო, იტყვის მნახველი. სდგეხართ ამ მთის მწვერვალზედ და აი რა წარმტაცი სურათი გეფინებათ თვალწინ. ზღვა ერთის მხრით დაუსრულებელი და გაუთავებელი, რომლის კიდითი-კიდე შორს-შორს სადღაც სივრცეში იკარგება და ჰქრება. აბა გაჰხედეთ ახლა ამ მთიდან ზღვის დაუსრულებელ ზედა პირს მზიან დღეში. მთელი ზღვა ვერცხლსავით ლაპლაპებს, მწვანე უფსკრული ზღვის ჰქრება, სადღაც იმალება და მის მაგიერ მწყობრი თამაში და ხტუნაობა ვერცხლის ზვირთებისა და როცა მწყობრი ნიავი წამოუქროლებს მას, ააპილპილებს, მაშინ ეს ვერცხლის ზედა პირი, ალმასისფერ ბრჭყვიალს დაიწყებს, ალმასივით, ნამდვილის ალმასისავით. თვალს გჭრით, გიღულავთ ეს სანახაობა და სულ სხვა ქვეყანაში, სხვა მხარეში მოგაჩვენებთ თქვენ თავს, ქვეყანაში სადაც ალმასებისა და ვერცხლის მეტს ვერასფერსა ხედავთ და ვერაფერსა ჰგრძნობთ. მაგრამ გაჰხედეთ მეორე მხარეს, იგვლივ ამ მიმზიდველ გორაკს თითქოს განგებ შემოხვეულან პატარა ხეობები, რომელნიც მთის მწვერვალებში შეჭრილან, გაურღვევიათ მათი პიტალო უფსკრული, გაუღადრავთ იგი და შემდეგ ბარათ დაქანებულნი მორბიან, მოიჩქარიან ხეობები მაღალ მწვანეში ჩაფლულ-ჩამწვარნი, ვერცხლის ბრწყინვალე ზოლსავით მოიგრიხებიან, ბუნების უზენაესად აღტყინებულს ნამოქმედარში ქალებში, ტყეებში, მწვანე ველსა და მინდვრის ხავერდოვანს მიდამოებში, უმღერიან მათ ნანას და თან მიექანებიან ზღვის უფსკრულისაკენ. მას უერთდებიან და მის სივრცეში ქრებიან, იკარგებიან. ზღვა დაუნდობელი და შეუპოვარი ჰნთქავს, ჰყლაპავს თავის უძირო ოკეანეში. ასეა ბუნებაში, მაგრამ გადაჰხედეთ ამ სივრცეს ამ წმინდა მთიდან და ასეთი სხვადასხვაობა, ასეთი ჭრელი თვალის მომჭრელი სურათები ერთი ორად უფრო დიდებულად და ბუმბერაზად გეჩვენებათ. აი ის მდინარის გველსავით მონახლაკენი ზოლი უცებ ჰქრება, იკარგება, მწვანე წალკოტის შუა, აღარა სჩანს, უფსკრულს შიეფარა, ჩაინთქა, მაგრამ გაადევნეთ თვალი ცოტა იქით, იქ მზეზედ ხელახლივ რაღაც ლაპლაპებს, იკლაკნება და მისრიალებს —ეს გახლავთ გაგრძელება იმ დაკარგული მდინარისა. მდინარისავე ნაპირს, აქა იქ მწვანე ველ-მინდორში და ჭალებში გაფანტულიან [illegible] აფხაზისა წითელის კრამიტით [illegible] ხურული. აფხაზს არ უყვარს ერთად მოსახლეობა, სოფელი გაფანტულია დიდს მანძილზედ, ერთი ორი მოსახლე თავის კარ-მიდამოთი, რომ ერთს ადგილს ჩასახლებულა და ყოველივე ირგვლივ შემოუკრეფია, სახნავ-სათესი ბაღები და სხვა. ორ-სამ ვერსის მოშორებით კიდევ სხვანი მოსახლეობენ და ასე და ამგვარად გაჭიმულია სოფელი უშველებელს მანძილზედ. აი ეს მწვანეში ჩაფლულნი წითელ-კრამიტიანი სახლები აქა-იქ წითელს ყაყაჩოსავით ჩაღვენთებულნი ველ-მინდორსა და ტყე-ჭალებში, ერთი-ორათ უფრო ასურათხავებენ და აძლიერებენ სიდიადეს და სიკეკლუცეს ბუნებისა და თქვენც გაქვავებული დგეხართ მის წინაშე, ვერ მოგიშორებიათ თვალი, ვერ გამძღარხართ მის ცქერით, ვერ დამტკბარხართ სავსებით.

შორს უხსოვარს დროში ეს მთა ულრან ტყის სამეფოდ იყო გადაქცეული, ასწლოვანსა და ათას წლოვან ხეებს მოეცვათ იგი და სუროს, ეკალს და სხვა გრეხილებს ისე შეეხუთათ და შეეფურჩქნათ იგი, რომ გავლაც კი ადამიანისა შეუძლებელი იყო. იგი მთლად გადაქცეული იყო ტყის მხეცთა და ნადირთა სავანეთ და აქ ფართოდა ბინადრობდნენ ისინი იმ დროს. საშიშროებას წარმოადგენდა იგი ადამიანთათვის და აბა ახლოს ვინ მიეკარებოდა მას. ხალხი უფრთხოდა და შორი-ახლოს გამვლელიც კი საჩქაროდ აუვლიდა მას გზას, რათა საშიშარს რასმეს არ წაჰხეჩებოდა. ხალხში მრავალი საშიშარი ხმები დადიოდა ამ მთის შესახებ და მრავალს საშიშროებით სავსე ამბებს გაიგონებდით. ძრწოლით წყევით და შიშით იხსენიებდა მას ყველა და რაღაც ისეთ რამედ წარმოედგინა ხალხს, რომელიც მხოლოდ უბედურობისა და ბედშავობის მომასწავებელი იყო. ეს მთა მაშინ ითვლებოდა დასჯილთა და დევნილთა თავშესაფარად. თუ ვინმე სასჯელს გაურბოდა, კაცის მკვლელი იყო იგი თუ ქურდი ან ყაჩაღი, იგი ხალხის მძვინვარებამ მრისხანების თავიდამ ასაცილებლად ამ მთას აშურებდა და თუმცა წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მხეცთა და ნადირთა სავანეში უბედებოდა ცხოვრება, მაგრამ ეს იყო უკანასკნელი თავშესაფარი დამნაშავეთა, რომლის გარეშეც მათ აუცილებელი სასჯელი მოელოდათ. დღესაც კიდევ ამ წმინდა მთაზედ აშენებულს მეფე ბაგრატიონისაგან ტაძრის კედელზედ გამოქანდაკებულია სიმბოლიური სურათი ყაჩაღისა, რომელსაც ჯალათი თავს აღგია და თავის მოკვეთას უქადის. ასეთ საშიშროებას წარმოადგენდა ეს მთა იმ პირქუშს დროს, რომელსაც ჩვენი მოთხრობა შეეხება.

აი ამ დროს ქრისტეს სწავლის გასავრცელებლად შემოვიდა კაბადოკიიდან ექვსი ბერ-მონაზონი აფხაზეთში. მოვლეს მთელი აფხაზეთი კიდითი-კიდემდე, მოვლეს ყოველი სოფელი და მოსახლეობა, მაგრამ ამაო იყო მათი მოძღვრება, არავინ ყურს არ უგდებდა და არ იჯერებდა ქრისტეს სწავლას. გულქვიანი იყვნენ აფხაზები, თვით მათს წინათ მოსულის ანდრია მოციქულს ისე მოექცნენ აფხაზები, რომ არამც თუ ის მიიღეს მისი სწავლა, არამედ დამაშვრალის ადამიანს ქალამნებიც კი მოჰპარეს თუმცა მის მოძღვრების შემდეგ დიდს ხანს გავიდო მაგრამ აფხაზთა გული ესევ ცივი იყო ქრისტეს სწავლისთვის. მოსულნი ბერნი დაღვრემილნი, დაღლილნი და მიქანცული შესდევდნენ მდინარე ერის წყლის ხეობას, რომ უცებ შორიდგანვე დაინახეს ეს საკვირველი მთა და მოხიბლულნი მისის ბუმბერაზობით და სანახაობით მისკენ გაემართნენ. მიუახლოვდნენ მასს და თავისს და უნებურად წამოიძახეს.

— ეს არის ჩვენი ბედი.

თქმა და საქმე ერთი იყო. მივიდნენ მთაზედ და დასახლდნენ. ჩქარა მთელი მთის მწვერვალი გასჩხეს. გასწმინდეს ულრანი ტყისაგან შეასწორეს შეასუფთავეს მთის ზედაპირი და საუცხოვო ადგილად გადააქციეს. მწირის ბერების მხნეობას, მუშაობას დასასრული არა ჰქონდა. თითქოს რაღაც ძალა, წინადგრძნობა უკარნახებდათ, რომ ეს მთა უნდა გადაჰქცეულიყო იმ ქვაკუთხედათ, საიდგანაც ქრისტეს სწავლის ლამპარი უნდა მოსდებოდა მთელს აფხაზეთსა და აი ეს რწმენა უფრო მეტს მხნეობას, მეტს ძალას, მეტს ენერგიას აძლევდა მწირს ბერებს და ისინიც გაორკეცებულის მხნეობით ეწეოდნენ ამ გიგანტიურს შრომას. ადვილი საქმე არ იყო ულრანის ტყის გაწმენდა, რომელიც მხეცთა, ნადირთა, ყაჩაღთა და ქურდთა სავანეს წარმოადგენდა. მაგრამ ბერების გადაწყვეტილება შეურყეველი იყო.—ეს არის ჩვენი ბედიო, ასეზივ იმეორებდნენ ბერები და კვალადვე დაღლილ დაქან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცულნი აგრძელებდნენ მუშაობას. ცოტა ხნის შემდეგ მთელი ზედაპირი მთისა გადასწორებული იყო და ურიან ტყის მაგიერ ადგილი მშვენიერ ბოსტნეულობასა და ნათესებს დაეჭირათ, მხოლოდ მთის შუაგულზედ და მოსჩანდა ერთი უშველებელი მუხა, რომელიც თავისის ჰიგანტიურის ტანით არაჩვეულებრივს სანახაობას წარმოადგენდა. ეს მუხა შეინახეს ბერებმა, იგი წარმოადგენდა მათს სახლს და სადგომს ბინას. უშველებელი მუხა შიგნით მთლად გამოფუღრული იყო, გაწმენდილი და შიგა მოსახლეობდნენ მწირი ბერები, შიგვე ლოცულობდნენ და ევედრებოდნენ ღმერთს. ეს იყო მათგან პირველი ჩაშასახი საყდრის და იმავე დროს მათი სახლ-კარიც და ბინაც- ტყის გაჩეხვა-გასუფთავებასთან ერთად ჩქარა გაჰქრა ტყის ნადირიც და შორს დიდს მანძილზედ მოჰშორდნენ ბერ-მონაზონებს. დამნაშავენი და ავაზაკნიც იშვიათად შემოაფარავდნენ თავს, მაგრამ ვინც კი მოვიდოდა მათგანი, განწმენდილნი, სულით განსპეტაკებულნი, და ქრისტეს მოძღვრების ნაზიარები უბრუნდებოდნენ ხალხს.

განვლო დრომ, ხალხში უშიშრო მამების სახელი და შიშის ზარდამცემი მათის ახალი მცხოვრებლების ამბავმა ყველას ყურადღება მიიზიდა. ხალხი ახლა ამ მთას შიშით აღარ უცქეროდა, პირიქით ეხლა ყველას ეინტერესებოდა ამ უშიშარ მამების ამბავი და მათი გმირობა და გამბედაობა აქ დასახლებისა ჰკვირობდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ რით შესძლეს უცხო ქვეყნიდამ მოსულ უმწეო მამებმა ნადირთა სავანის გარდაქმნა მშვენიერ საბაღე-საბოსტნეთ, მოსპეს ნადირთა თარეში და თვითონ არ შეიქმნენ მათი მსხვერპლნი. ჰკვირობდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, ისინი მხოლოდ მოკრძალებით თანითან უახლოვდებოდნენ მამებს, ეცნობოდნენ მის ცხოვრებას, მათ მხნეობა გამჭელობას და საქმის უნარსა და მუყაითობას. მამანი ფიანდაზათ უშლიდნენ მათ თავიანთ სულსა და გულსა, უზიარებდნენ ქრისტეს მცნებას და გასაგებათა და შესასმენლადა ჰხიდნენ მათვის იმ სწავლას, რომელსაც აქნობამდის ისინი გაურბოდნენ და ვერ შეეგნოთ მისი მაღალი მცნებანი. მათმა საკვირველმა ცხოვრებამ და მოქმედებამ მიიზიდა ხალხი, მთელი ხეობა სულგანაბული ყურს უგდებდა მათ და ამ ნაირად ნელ-ნელა ეზიარებოდა ქრისტეს სწავლას და მისი მაღიარებელი ხდებოდა. წმინდა მამათაც მეტი რა უნდოდათ, მათს სურვილსა მისწრაფებას ფრთები ესხმებოდა და როცა მთის მწვერვალიდამ გადმოხედავდნენ ხელის გულისავით მათს თვალწინ გადაჭიმულს აფხაზეთის მიწა-წყალს და მის საუცხოვო სანახაობას, ეს კიდევ ერთიორად კიდევ უმატებდა ძალას.

განვლო დრომ, ქრისტეს სწავლა უკვე მოეფინა თან-თან აფხაზეთს. ეს მთა წარმართობისა და საშიშროებისა ეხლა ქრისტეს სწავლის გავრცელების მესვეურად გარდაიქცა. მთა რომელსაც შიშითა და ძრწოლით იხსენიებდა ყველა და გაურბოდა მას ვით გამხეცებულს ნადირს, ეხლა ყოველ მხრიდამ იზიდავდა ხალხსა, იქით მიეშურებოდნენ ყველანი. იქით მიისწრაფოდნენ. გაჰქრა ხალხში მთის საშიშროება, მას ადგილი ბრწყინვალე ქრისტეს სწავლით განათლებულმა მამებმა დაიჭირეს, გასპეტაკდა ხალხის რწმენა და სულიერად ამაღლდა იგი.

მიიცვალნენ ღრმა მოხუცებაში ბერნი, წამოიქცა დრო მორჭმული დახავსებული მუხაც, რომელიც ეხლა ლამლამობით ნათელსა და სხივებს გამოსცემდა ხოლმე. მაგრამ მამათა სწავლა არ გამქრალა, მათგან ერთხელვე დათესილმა ქრისტეს სწავლამ ღრმა ფესვები გაიდგა, მოალბო აფხაზთა გული და შემდეგში მადლიერმა შთამომავლობამ იმ ადგილს სადაც მუხა იდგა და ექვსნი მამანი მოღვაწეობდნენ, დიდებული ტაძარი აავო თავისს შარავანდედ მოსილ მეფის ბაგრატ მესამის დახმარება-მხნეობით და უწოდა მას ბედია, რომელშიაც უნდა გამოეხატნა თავისი ბედი და მისწრაფება და რომელიც მუდმივი მომაგონებელი უნდა ყოფილიყო იმ პირველის სიტყვებისა, რომელნიც პირველად ამოხდათ მათს გამანათლებელს ბერ-მონაზნებს ამ წმინდა მთის დანახვაზედ.

ზ. ედილი.

## ბიბლიოგრაფია

არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული პირველ დაწყებითი სკოლებისათვის ნაწ. I და II შედგენილი ლან. ჩიმაკაძისა და ანდ. შუბლაძის მიერ. მეოთხე გამოცემა. ქუთაისი 1918 წ.

ჩვენი გაეროვნებული სკოლასა ქუთაისმა დიდი ღვაწლი დასდო. რასაკვირველია მეტი ნაწილი ქუთაისში გამოცემულ სახელმძღვანელო წიგნებისა აჩქარებით არის დაწერილ-გამოცემული, რადგანაც ჩვენი სკოლების გაეროვნება აჩქარებით, სწრაფად მიმდინარეობდა. მაგრამ ამ წიგნებმა დიდი როლი ითამაშეს ჩვენი სკოლის გაეროვნებაში. სხვა სახელმძღვანელოებს უფრო დაფიქრებულად, აუჩქარებლივ შედგენილს მოელის ქართული სკოლა, და უნდა ველოდდეთ რომ მალე მოვესწრობით ამ დროსაც.

ზემოდ დასახელებული კრებული იწყება თვალსაჩინო თვლით (მითვლით და გამოთვლით) ერთიდან ათამდე შემდეგ კი გადადის მოქმედებებზედ ათამდე. მოქმედებანი არ არი თვალსაჩინოდ ახსნილი, გარდა გამრავლებისა. გამრავლების ახსნისთვის კრებული ამ ნაირ ხერხს ხმარობს. სათაურად აწერია გამრავლება, შემდეგ დახატულია ორი ძროხა ორჯერ, მეორე სურათში ორი ბავშვი სამჯერ დახატული, ან ოთხი მოთამაშე ბავშვი ორჯერ დახატული, ავტორების აზრით ეს ნახატობა თვალსაჩინოთ ხდის გამრავლებას, მაგრამ განა მე რომ ასჯერ დამხატონ მე ასი ვიქნები? ერთი და იგივე ბავშვები მილიონჯერაც რომ დავხატოთ, ისინი მაინც მილიონი არ გახდებიან, და ასეთი სურათები გამრავლებას კი არა ხსნიან, უფრო აბუნდოვნებენ მას, და ბავშვს არ აძლევენ სწორ წარმოდგენას გამრავლებაზედ. ოთხი მოქმედების შემდეგ ამოცანებია ყველა მოქმედებებზედ და შემდეგ ახსნილია ნაწევარი ნახევარი და მეოთხედი. საზოგადოთ მიღებულია რომ ბავშვებთან ნახევარზედ და მეოთხედზედ ლაპარაკი უნდა გვქონდეს გაყოფის დროს და არა სულ ბოლოს; ბავშვებისათვის არ უნდა არსებობდეს გაყოფა ნაშთით, როგორც ეს ავტორებსა აქვთ 32 გვერდზედ საცა ისინი 3:2 და ნაშთს იღებენ 1 მაშინ ამ გვარი მაგალითები ესე გადაწყდებოდა 3:2=1 ნახ. ახსნა ბავშვებისათვის თუ რა არის მნიშვნელი და რა არის მრიცხველი ზედ მეტია. ნაწევრების ნახევარის და მეოთხედის თვალსაჩინოდ ქმნა ხაზების დაყოფით ძალიან სუსტია და არც თვალსაჩინო. მეორმოცე გვერდზედ მიმატება და გამოკლება ნახევარისა და მეოთხედისა ბავშვებისათვის, რომელთაც ათამდე თვლა ხეირიანად არც კი იციან, ზედ-მეტია.

ამით თავდება პირველ ათეულზედ ყველა მოქმედებანი. ამის შემდეგ ავტორები უნდა გადასულიყვნენ მთელ ათეულობით მითვლა-გამოთვლაზედ ასამდე, მაგრამ ისინი არღვევენ სწავლების მთლიან სისტემას, და გადადიან მეორე ათეულის რიცხვის მოქმედებებზე. თუმცა ქართველები ასამდე ოცობით ვსთვლით, მაგრამ ჩვენი თვლის სისტემა მაინც ათეულოვანია და არა ოცეულოვანი. ჩვენ რომ ოცი თვლის ერთეულად გვაქვს ასამდე ეს ქართული თვლის თავისებურებაა; ჩვენ ხომ არ ვამბობთ ხუთოცი, ექვსოცი, ცხრამეტოცი და სხვა, ჩვენ მხოლოდ ასამდე ვითვლით ოცობით, ასი კი ერთეულია, მაშასადამე ჩვენი თვლა თავისის შინაარსით ათეულთაგანია, და ამისთვის ჩვენი მთელი ყურადღება უნდა ათეულთა სისტემისაკენ იყოს მიქცეული, რადგანაც წერითი სისტემა ათეულთაგანია. ბუნებრივია, და არც სწავლის სისტემა ირღვევა, თუ ჩვენ პირველ ათეულის შესწავლის შემდეგ გადავალთ ათეულებით თვლა, გამოთვლაზე და მათ ყველა მოქმედებებზე, შემდეგ კი განვიხილავთ მოქმედებებს ყველა რიცხვებზე ჯერ ოცის ფარგალში, შემდეგ კი ასისა. მასალის ისე დალაგება კი როგორც კრებულის ავტორებსა აქვსთ სისტემასა რევს და შემდეგ მათ ან ხელმეორედ დაბრუნება მოუხდებათ ათეულებით თვლაზე, ან კიდევ ბრევ დარევა ათეულ ოცეულებით თვლაზედ როგორც ეს მათა აქვსთ თავიანთ წიგნში.

ამოცანები ძალიან ღარიბნი არიან შინაარსით და ეტყობათ რუსული ზეგავლენა. ამოცანების შინაარსში არა სჩანს ქართული ცხოვრება, ის ცხოვრება და ის ინტერესი, რომელიც ბავშვს აკრავს გარშემო. ამისთვის ამოცანებს განყენებული ხასიათი აქვთ, და ბავშვს კონკრეტულ აზროვნებას არას ეუბნება. რა საინტერესოა ამოცანები ვილაც გადამწერლებზედ, რომელნიც დღეში ამდენსა და ამდენ სტრიქონს სწერენ, ან რა საინტერესოა გამოვიანგარიშოთ მანძილი რომელიღაც ქალაქებს შორის, რომელთა შუაც რაღაცა სოფელი მდებარეობს და რომლემდისაც ქალაქებიდან მანძილია მოცემული. დაუსახელეთ ბავშვს კონკრეტულად ქალაქის და სოფლის სახელი, და ბავშვიც დიდის ინტერესით გამოიანგარიშებს მანძილს.

ზოგიერთი ამოცანა ზნეობრივად მიუღებელია, მაგ. № 673 საცა ბავშვი რვეულებს 18 კაპ. ყიდულობს და 20 კაპ. კი ჰყიდის, ან მასწავლებლის ჯამაგირზედ ლაპარაკი რა საჭიროა, ნუ თუ ბავშვისთვის სხვა საგნები არ არის უფრო საინტერესო, ვიდრე თავის მასწავლებლის ჯამაგირის გამოანგარიშება?

კრებულში ამოცანები ტიპებად არიან დაყოფილნი, როგორც ეს რუსულ ბორისოვის და სტაროვის კრებულშია. ამოცანების ტიპებად დაყოფა ეწინააღმდეგება სად პედაგოგიურ მოთხოვნილებათ. მოსწავლენი უნდა შევაჩვიოთ ცოცხალ საინტერესო მუშაობას, და ტიპებად დაყოფილი ამოცანები კი აჩვევენ მას მკვდარ, მექანიკურ მუშაობას, ეს ბავშვებს კი არ ანვითარებს, არამედ აქვეითებს.

ერთი უმთავრესი ნაკლი ამ კრებულისა არის ის, რომ იგი დაწერილია იმ პირთა მიერ, რომელთაც ქართულ ლიტერატურულ ენაზედ წარმოდგენაც კი არა აქვთ. მთელი კრებული თავიდგან ბოლომდის დაწერილია პროვინციალური ენით. ყოველივე სკოლაში სახმარი წიგნი უნდა იწერებოდეს ფაქიზი ლიტერატურული ენით, რათა ბავშვები თავიდანვე ამ ენას შეეჩვივნენ. ეს წიგნი აჭრელებულია ამ გვარი პროვინციალიზმებით: ქართოფილი, კამფეტი, საანგარიშო ჩოთქი, კიტრის ღამბარა, სუფრის კოვზი, დატეხილი შაქარი, ქვების გაჭედვა, მწყესმა მოწყესა ან ქალს ოცი ნიგოზი აქვნდა, ღებულობს და მრავალთაგან მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. ამ ნაირი ენით დაწერილ კრებულს სკოლაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მეორე ნაწილი კრებულისა თავისის გეგმით პირველ ნაწილსა ჰგავს, ისევ იმისთანა ქართულ ცხოვრებასთან დაშორებული ტიპებად დაყოფილი, ამოცანები ისევ ისეთი „ლიტერატურული" ენა. დაშლა გადაქცევისათვის პირდაპირ ყოველივე აზრს მოკლებული მაგალითებია აღებული: მაგ. ვერსების დაშლას ვერშოკებად ან ფუთების დაშლას მისხლებად, რა აზრი აქვთ? ქართულ ცხოვრებაში არა ვხმარობთ ფუტს, დიუიმს, „ხაზს" (ლინიას), შტოფს, ლოტს, „წილს", (ფირქოლს) და არც კრებულში უნდა შეგვეტანა. ვიდრე ჩვენ სახელმწიფოებრივ საზომ—საწყაოს მივიღებდეთ, რასაკვირველია ადგილობრივ მიღებულ ზომებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, მაგრამ ისე კი რომ ჩვენი კუთხის ყოველივე კუთხის საზომ საწყაოები მოხვდეს. ეს კრებული კი თავისის ბათმან, ოყებით გასაგებია მხოლოდ ჩვენის ქვეყნის ერთის პროვინციისათვის. საზოგადოთ ეს ამოცანათა კრებულები თავისის „ლიტერატურულის" ენით სკოლებში ენას წარყვნიან, და ამ ბოლო ძინების ხანაში საჭიროა ენის განწმენდა, ამ მხრივაც ისინი მიუღებელნი არიან სკოლებისათვის.

გიორგი ბურჭულაძე.

## ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

72.

იგრძნო მიჯნურმა, რომ ავი შეემთხვივნათ სატრფოსათვის, ბოროტი მოევლინათ იმ საბრალოსთვის შეუბრალებლებს, რომელნი იშვებდნენ ეხლა გამარჯვებულნი და თვისი სიხარულით ნიშს უგებდნენ მას, მათგან ძლეულ ბუმბერაზს უძლეველს. ფრიად იწყინა აშკარა შეურაცხყოფა თვისის პიროვნობისა. გული მოუკვდა, როცა წარმოიდგინა, რა ბოროტი დაჰბურავდა ღვთის შვილს სახიერს, მტერთა თუ მოშურნეთაგან გარეშემორტყმულს. სული შეუწუხდა, რა წარმოიდგინა, როგორ მოეხსნება თვით მას სიამე, განშორდება ნეტარება, მოესპობა კმაყოფილება, სულის სიმშვიდე. შუქური ერთად ერთი ნავთსადგური იყო მყუდრო, სად ისვენებთა ცხოვრების ღელვილი ზღვაზედ მავალი კატარღა მისის პიროვნობისა. მოშალეს იგი ნავთსაყუდარი და მისცეს ხომალდი მისი ზღვას აღელვებულს.

— აუტეხეს რამე იმ საბრალოს რაკი გამიგულეს. თუ ავად იყოს, წარმოიტყოდნენ ამას, ვინმე ახსენებდა მას სუფრაზედ, სადაც მის ადგილს სხვა იდგა, ვიღაც უცხო, ჩეუფერებელი, გაიფიქრა მეფემ.

და გაემართა შუქურის გალიაკისკენ შევიდა, ვერ ჰპოვა თავისი მზე. სხვაც არავინ დახვდა იქ, არც თუ მხევალი რომელიმე. სავანეში ზოგი ნივთიც იუცხოვა. შუქურისა არ იყო. აღარც ისე იყო სავანე მილაგებული, როგორც შუქურს უყვარდა. მაშინ გულისხმა ჰყო ყოველივე იგი ყოფილი საქმე და ფრიად შეიურვა. შემოჰკრა ტაში. მთრთოლარე ხელმა ასწია კარის ფარდაგი და წარსდგა მეფის წინაშე ხადუმი; მუხლი მოიდრიკა. მეფემ მრისხანეთ დახედა მას. მონა მიწას გაერთხო ბრძანებლის ფერხთ ქვეშ.

— სად არის შუქური?

— წაიყვანეს, დიდო ხელმწიფევ! ბერმა გრიგოლმა წაიყვანა დედოფალი.

— წაიყვანეს და შენ ცოცხალი ხარ?! რად არ მოჰკვედ იქვე, შე არა კაცო? წარმოსთქვა აშოტმა.

და მისმა ხელმა შეუგნებლად გაი-

— ნუ მომკლავ, ყოვლად მოწყალეო! მიბრძანა დაბრუნება, არ გამიყოლა.

ელდა ეცა ვაჟკაცს. მუხლი მოეკვეთა, ჩაჯდა სავარძელში გაქვავდა ერთს ხანს დარდ ცარეული! სახლთ ხუცესს იდუმალ თვალი ედევნებინა ამ ამბისათვის და გაბედა: ფეხაკრეფით წარსდგა მეფის წინაშე. აშოტმა ვერ შენიშნა. ყურადღება არ მიაქცია მას. მერმე შეხედა ჩამქრალი ხედვით, ცივად, უაზროდ. კარის კაცი იდგა უძრავად მორჩილ მოხრილი.

— სად არის შუქური?

სახლთ ხუცესმა უამბო ყოვლივე დაწვრილებით. მის თქმაზედ მეფე თანდათან ფერსა ჰკარგავდა, ფითრდებოდა. მერმე მსწრაფლ აღეგზნო. წამოიჭრა ზეზე.

— თავი წარეკვეთოს ამ ლეშს! ანიშნა გართხმულზედ. საპყრობილეში ყველა მხევლები შუქურისა! ცხენის ძუაზედ ჰხამს აებნენ მოღალატენი და დაიჩეჩნენ.

— სასტიკი ბრძანება, ცხებულო ღვთისაო!

— სასტიკი მეფის მოღალატეთათვის?! შენც მოღალატე! სახლთხუცესმა უნდა იცოდეს ყოველივე, რაცა ხდება სასახლეში, პასუხს აგებდეს.

— მამა შენს, დიდს ნერსეს, ვემსახურე პირნათლად მთლად ჩავბერდი შენს სამსახურში და... მოღალატე?! განეშოროს ყოველი მოღალატე ტახტსა მეფისას!

— ჭეშმარიტად ღირს არს! სთქვა მეფემ.

და გამოვიდა სახლიდან. უბრძანა ცხენი. მოართვეს მსწრაფლად. ესდენ ტრფიალ იყო შუქურის მიმართ ხელმწიფე იგი, რომელ თავმოთმინებათ დაავიწყდა და მსწრაფლ გაემართა მონასტერსა ფრიად აღშფოთებული. ჰგავდა, რომელ არა ღონითა რითმე კაცობრივითა იყო ტრფიალ შუქურის მიმართ, არამედ ეშმაკისა მანქანებითა. შეკრთა დედოფალი, მლიერ შეშინდა. შეძრწუნდა მთელი სასახლე.

— გაემართა მრისხანე დედათა სავანისაკენ ხელშეუხებელისა. გაანადგურებს მედგარი წმინდა სავანეს. საშიშ არს ესე.

— ჭეშმარიტად საშიშ არს! უმჯობესი იყო, წმიდა სავანე და განდეგი-

ხიფათით ამბავში; წინადაც მოგახსენეთ ეს, შეჰბედა სახლთხუცესმა.

— ცდები, დაბრძნობილო! იმათ უნდა იზრუნონ სჯულის სიმტკიცეზედ ზნეობის სიფაქიზეზედ; რისხვა უნდა დაითმინონ ამის გამო, წამება, თვით სიკვდილიც მოწამებრივი.

— აღსრულდეს ნება თქვენი! მეფე ღალატსა მწამებს, დედოფალი შეცდომას მყვედრის. მოწყვნილა ჟამი ჩემის განშორებისა.

გრიგალივით მიჰქროდა მეფის მერანი. შორიახლო ასდევნებოდა განრისხებულს შინაყმათა გუნდი მასთან ნაწრთობი, ომის ველზედ მტრის სისხლში მასთან ნათელღებული. ვნებათა ქარიშხალი იტაცებდა მეფის ჰაზრებს თუ გრძნობებს, აღელვებდა, აზვირთებდა, საშინლად ატრიალებდა. შეურაცხყოფილ ბუმბერაზს უნდოდა მოეკრიბნა ფიქრები, განეჭვრიტა გზა სამოქმედო. ამაოდ! თავდაუჭერელად ჯგუფდებოდ-იშლებოდნენ მისი ფიქრები გროვდებოდნენ, იფანტებოდნენ. მაინც შეუკავებლად მიისწრაფოდნენ მერესაკენ: იქ იყო დატყვევებული აშოტის ქალთა ძე, სიცოცხლე მისი. მხოლოდ ერთს ეტყოდა გარკვევით ჰაზრი მღელვარე:

— მიხვალ, ჰნახავ, წამოიყვან! წამს არ დასტოვებ სიხარულთაგან გაძარცვილ ადგილსა!

ან რა ჰქონდათ საზიარო შუქურსა და მონასტერს, სიცოცხლეს და სიკვდილს, ცხოვრების ყვავილოვანს და სამარეს კარდახშულს, სად ცოცხლივ ჩაემარხათ თავი განსაცვიფრებელთ?!

— ვჰპოვებ, მოვეჭდობი, გამოვიტაცებ!

კვლავ გაუნათებდა შუქური იგი ციხე ქალაქს აწ ჩამოქუშულს, სამეფო პალატს ჩამობნელებულს, გულსაც ჩაგლილილს, საშინლად ჩახშულს.

— რომ არ გიჩვენონ, არ დაგანებონ?

— არ დამანებონ?! ვინ გაბედოს ეს? რომელმა შესძლოს?! ციხეც მაგარი ვერ დაუდგრეს ჩემს მძლე მარჯვენას. მჭის მოვიტაცებ! ახ, სიხარულო! ახ, ნეტარებავ!

— ბუმბერაზის ხმალი არ ამოდის ქარქაშიდან დედათა წინააღმდეგ, ვერცა ჰკვეთავს ფრთა-ასხმული სავანეს წმიდას.

ქვითინებს გული, იგლოვს დაკარგულს. შავბნელად მოსილ სასტიკთა დასს ჰხედავს ფიქრი ტანჯული, მზეთა-მზე რომ შეუპყრიათ შეუბრალებლად. მათი მკლავები გველებივით შემოჰხვევიან საბრალო შუქურს. ბნელ ბაგეზედ გესლიანი ღიმილი უქრისთ დამცინავ-მამცირებელი. რა საბრალოდ უყურებს ქალი თავის რაინდსა! დახსნას ევედრება, ვერას კი ეტყვის შეჰკრთებული.

— წამიც და დაგიხსნი! ან... ან თავს დავაკლავ შენს საპყრობილეს.

— მაცა, კაცო! იქნება თავისი ნებით მიჰმართა შუქურმა სავანეს წმიდას, თვით ისურვა განშორება ამა სოფლისა.

— ჰა, ჰა, ჰა! შენ ვერ იცნობ შუქურს გულკეთილს: სულს შესწირავს ჩემთვის; იცის, უსულოდ-ღა დავრჩები მე უმისოდ.

გამოჩნდა სავანე. ჩამოხდნენ დასტოვეს ცხენები. გეგებნენ მეფეს. განახვეს კარი ეკლესიის. შებრძანდა, ილოცა. დალოცა მეფე დედა თებრონიამ. ფრიად ღელვილი იყო სახე მეფისა, მსწრაფლ ცვალებადი თავის აზრებს ებრძოდა იგი, თავის გრძნობებსა; ცდილობდა თავის სულის კვეთება როგორმე შეეკავებინა მცირე ხნით მაინც და უფრო ბუნებრივი სვლა მიეცა თავის უთმენ სურვილისათვის, რომელი მძლავრად ისწრაფოდა განახლებულიყო სიტყვაში თუ მოქმედებაში.

დედა თებრონია ცხადად ჰხედავდა მის სულის კვეთებას და გზირ ყურადღება იყო მთლად გარდაქმნილი, ვითა მებრძოლი თავგანწირული, რომელი მოელის თავდაცემას მედგარი მტრისას და სდგას ფრთხილად, თუმც შეუპოვრად. თავი ოდნავ დახარა მეფის წინ, ხელები გულზედ მოეჭდო. მჭრელი ელვარება მის თვალთა ცხადჰყოფდა, რა ფხიზლად და ჯიუტად მოელოდდა მებრძოლის შემაერთებელ მოძრაობას.

— სანაპიროდ ვიყავი, სამზღვართა განსამტკიცებლად. გამიმარჯვდა ღვთით. დალამრავლად დავბრუნდი სასახლეში. წამოვესწრაფე: ჯერ არს მადლი შევსწირო ყოვლად წმიდასა.

— ღვთისმშობელი ჰფარვიდეს შენს სვლას საკეთილოს, მეფე დიდებულო იგი მოგცემს შეძლებას, დაიცვა მტრი

თველთა შორის სჯული ქრისტესი, ზნენი კეთილნი.

— გამოცდილ მებრძოლს უნდოდა შორიდან მოევლო საბრძოლ საქმისათვის, ეთქვა რამ მონოზონთა სასიამო აღეთქვა დავლიდან ნუგეში რამე, მაგრამ დედაბერისაგან კეთილ ზნეობის ხსენებამ მთლად აფურტკნა მისი მოსაზრება. მსწრაფათ შეეხო იგი თვის გულისტკივილს:

— შენ უწყია, დედაო, რისთვის მოვედ აქ?

— უფალმა უწყის, რისთვის ჰბრძანე აქ მობრძანება.

— ამა მიზეზებისათვის იქმნა მოსვლაი ჩემი: სახლისა ჩემისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩვენი ხელთა მისთა ეგო; მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანია იგი; ფრიად დაგვაკლდა საფასეთა ჩვენთაგან; უბრძანე: ციხედ მოვიდეს ყოველივე მოგვითვალოს და კვლავ თქვენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს.

— ჩამოჰკრა თებრონიასათვის წუთმა სასურველმა როცა უნდა ეჩვენებინა მას შეკრებულთათვის რა ძლიერი ძალით არის აღჭურვილი სუსტი იგი მხევალი ღვთისა, როცა მოითხოვს მას სჯული ქრისტესი, როგორ უტეხად შეჰხვდება იგი თვით მეფის წყრომას, იტვირთებს თვით ჯვარს ქრისტესი, წამებას სასტიკს. და ეხლავ, აქვე! გაიმართა წელში. უფრო მტკიცედ მოირტყას მკერდზედ გადაჯვარედინებული მკლავები. მკვეთრმა ღიმილმა, ბრძოლად მიმწვევმა, გაუპო ბაგე ცალმხრივ. თვალთაგან დაეკვესა ცეცხლი ბოროტი ჰრქვა მკვეთრად:

— მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთათანა, რომელნი იქმან უსჯულოებასა!

წარმოსთქვა ეს სასტიკად და დადგა ურყევად შემმართებელი. არ ეშინოდა: შუქური ისეთ მღვიმეში ჰყავნ და გადაკარგული, რომ მონასტერი მთლად დაექცივნათ, მის კვალს ვერ მიაგნობდნენ; თითონ კი სიხარულით ელოდდა მეხის ტეხას, რომ მისი სახელი აღგზნებულიყო ლამპრად უქრობად აქ კაცთა შორის და მის სულს მოეპოვნა ცხოვრება უხრწნელი ნეტართა შუა.

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

## მიმოსვლა
### სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.

**გადის თბილისიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | საღ. | 8 ს. 7 წ. |
| ბათომში | № 5 | საღ. | 5 ს. 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. — |
| ფოთიდან | № 4 | საღ | 8 ს. 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. 06 წ. |

**თბილისი-სალოღლი**

გადის სალოღლში

| | | |
|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. 50 წ. |

მოდის სალოღლიდან.

| | | |
|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. 52 წ. |

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

გადის

| | | |
|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. 40 |
| № 61 | დილის | 7 ს. 52 |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. 26 |

მოდის:

| | | |
|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. 30 |
| № 62 | დილ. | 11 ს. 24 |
| № 64 | საღ. | 8 ს. 4 |

**თბილისი-სანაინი**

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ყვლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეთი
ექ. ჰ. ტყეშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის სავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენიიდი და ... ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.